

თავისუფალი საქართველო

№ 16.

5 თებერვალი, 1922 წელი.

№ 16.

სადღეისო.

ახალი წელი საქართველოს საკითხის აქტივობით დაიწყო.

კანის კონფერენციაზე პირველათ საერთაშორისო მასშტაბით დაისვა პრობლემა საქართველოს შესახებ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, რომელიც უცხოელ ძალების ზემოეკუპაციას განიცდის. და დაისვა სწორეთიმ დროს, როცა რუსეთის ბოლშევიზმისადმი ურყევი მტრული განწყობილება ერთგვარათ შეიცვალა პოლიტიკური ცნობის და ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის სურვილით. მაშასადამე, არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკითხი დაუპირდაპირდა რუსეთთან მტრობას. პირიქით, სანამ ეს მტრობა შეუწყველი იყო, საქართველოზე ლაპარაკი ყოველ შემთხვევაში იმ ვიწრო კაბინეტებს არ გასცილებია, სადაც არაფერ იცის, რას ამბობდენ და რისთვის, ე. ი. დიპლომატიის შინაურ მლაპარაკებას.

მაშასადამე საქართველოს საკითხი დაისვა. მაგრამ როგორ შეხედეს მას მოკავშირე სახელმწიფოებმა და მათმა წარმომადგენლებმა?

ჩვენ ვიცით აზრი საქართველოს შესახებ ევროპის დემოკრატიის, ევროპის საზოგადოებრივი დემოკრატიული წრეების და სოციალისტურ მუშათა კლასის. პირველიც და მეორეც ბოლშევიკებს უდიდეს ბოროტებათ უფლის ჩვენი ქვეყნის უდავო უფლებების ასე უხეშათ ფეხქვეშ გათელვას და ენერგიულათ მოითხოვს შის დაუყრნებლივ განთავისუფლებას, ეს არის უკვე სამარცხვინო განაჩენი რუსეთის კომუნისტური მმართველის და მისი ხელმძღვანელებისათვის, რომელიც შავ დაღს ასვამს მათ წითელს სახეს და წითელს მოღვაწეობას.

ეს არის მეორე მხრივ ღირსეული დაფასება ჩვენი ერის სახელმწიფო ისტორიის რევოლუცი-

ციამდე და რევოლუციის ხანაში, როცა მან დამოუკიდებელი რევოლუციური ოაზისი შექმნა და რევოლუციის უდიდესი ღონისძიებები უტერორით და უდიკტატურით განახორციელა დემოკრატიული წყობილების ფარგლებში, სწორეთ ისე, როგორც ამას ცოველთვის სწოდენ და ეტრფოდენ მარქსისტები და ჭეშმარიტი რევოლუციონერები, კ. კაუცკიდან დაწყებული რომა ლიუქსენბურგამდე, რომლის უკანასკნელი წიგნაკი სწორეთ დემოკრატიის აბუჩათ აგდებას უკვიენებს (თავის თანამეგობართ) დღევანდელ რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

და აი ამ ერთსულოვანმა განაჩენმა ევროპის დემოკრატიის შესაფერი გამოძახილი იპოვა თვით მალალ წრებშიც, სადაც უმთავრეს მამოძრავებელ მოტივათ ითვლება თავის ვიწრო ეკონომიური ინტერესების დაკმაყოფილება და დიდი ბაზრის მოპოვება.

ცხადია ამ მხრივ პატარა საქართველო ვერ გაუწევდა კონკურენციას დიდ რუსეთს, რომელიც მთელ თავის უფვლავ სიმდიდრის წყაროებს ფეხ-ქვეშ უგდებს უცხო კაპიტალისტებს, ოღონდ კი მათ ინებონ მოსკოვის დიკტატორთა ცნობა და თავი შეიწუხონ მათი ექსპლოატაციით. მიუხედავათ ამისა, სამართლიანობა საქართველოს საკითხის, ერთსულოვნება ჩვენი ხალხის, რომელიც კატეგორიულათ გოველ ფეხის გადადგმაზე უარგოფს ბოლშევიკების ეკუპაციას და მათ სრულ იზოლიაციას ქმნის საქართველოში, მიიწვ თავისი გაიტანა. ევროპის დიპლომატებს არ შეეძლოთ არ გცნოთ დამოუკიდებელი საქართველო. გავლასტი მისი უკანონო ეკუპაციის.

მართალია მათ მოახერხეს დიდი რუსეთის გვერდით არ მოეწვიათ საქართველოც გენუის კონფერენციაზე, სადაც დასმულია საკითხი რუსეთთან ურთიერთობის განახლების. მაგრამ არ მოიწვიეს არა იმისთვის, რომ მას ვითომდა

საქართველო

საქართველოს
ბიულეტენი

სიმაღლესი უფლება არ ქონდეს. არა. აშკარა საბუთათ ამისა მოცუანი იქნა ის გარემოება, რომ საქართველო აზიაში მდებარეობს, ხოლო კონფერენცია მხოლოდ ევროპიელი სახელმწიფოებისა ამერიკის და იაპონიის დამატებით. მაგრამ არავის ექვიც არ შეპარვია იმაში, რომ საქართველოს აქვს უფლება დამოუკიდებელი სახელმწიფოსი და მისი მთავრობა. ჟორდანიას მეთაურობით კანონიერი წარმომადგენლობა ამ ქვეყნის სუვერენობის, რომ მისი დღევანდელი მფლობელნი მხოლოდ ოკუპანტები არიან და მეტი არაფერი. ოკუპანტები, რომელთაც ხალხი არ ცნობს და ებრძვის. სწორედ ეს შეუპოვებელი პოზიცია ჩვენი ხალხის ბოლშევიზმისადმი შეიქნა მთავარი საფუძველი მისი უფლებების აღიარების.

შერიგება ოკუპაციასთან ნიშნავს მის დაკანონებას. საერთაშორისო ურთიერთობაში არავინ კითხულობს თუ რა გზით და საშვალებით წარმოსდგა მართებლობა, ნებაყოფლობით თუ ძალადობით მით უმეტეს, რომ თვით ევროპას ქონია და აქვს ზოგან დღესაც ყოველგვარი ფორმით და გზით წარმომდგარი ხელის-უფლება, რომლის უარყოფა მას აზრათაც არ მოსვლია. აქ საკითხის უნთავრესი ძარღვია ის, თუ რამდენათ ეკვიდრათ დგას მთავრობა, ესე იგი ემორჩილება მას ხალხი, და არის ეს მორჩილება საკმაოდ მტკიცე და ხანგრძლივი, თუ წარმავალი და დროული. სწორედ ამ წარმავლობის შიშით დიდ ხანს ერიდებოდა ოფიციალური ევროპა საქართველოს ცნობას წინა წლებში, სანამ არ დარწმუნდა მის სახელმწიფოებრივ უნარსა და გამძლეობაში.

სწორედ ამავე მოსაზრებით არ იკარებს იგი ბოლშევიკების ხელის-უფლებას, და განსაკუთრებით უარყოფს მას საქართველოში, სადაც იგი ხალხისაგან გარიცულია.

დღეს ევროპა იცნობს მხოლოდ ჟორდანიის მთავრობას, რადგან მხოლოდ მას იცნობს ქართველი ხალხი.

იმდენათაც ჩვენი ხალხი მეტ აქტივობას იჩენს ბოლშევიკების წინააღმდეგ და თავის მთავრობის სასარგებლოდ, იმდენათ იზრდება შანსები მისი საბოლოო განთავისუფლების.

ამიერიდან ევროპას არ შეიძლება ამ საკითხს გვერდი აუხვიოს. არ შეიძლება უკვე დღეს მოსკოვის ბოლშევიკებთან სერიოზული საერ-

თაშორისო მოლაპარაკება, რომ ეს საკითხი არ წამოიჭრეს მთელი თავის სივრცე-სიგანით. ამას ხედავენ კარგათ კრემლის ბატონები და ამიტომ ევროპის ყველა სახელმწიფოებში და სოციალისტურ პარტიებში გააფთრებულ აგიტაციას აწარმოებენ იმის შესახებ, რომ საქართველო თითქმის დაპყრობილი არ იყოს, თითქმის აქ რუსის წითელი ჯარი ქართველი ხალხის თხოვნით იყოს გაგზავნილი სხვა და სხვა იმპერიალისტებისაგან მათ დასაცველათ, თითქმის ხალხი სავესებით კმაყოფილი იყოს საბჭოთა ხელისუფლებით და მას სიამტკბილობით ემორჩილებოდეს. არავითარ პროტესტს და წინააღმდეგობას არ აქვს ადგილი საქართველოში, უტიფრათ გაიძახიან თავდამსხმელები.

ქართველმა ხალხმა იცის ფასი ამ მატყუარობის. ბოლშევიკებს უნდათ დღეს, როცა მათი ცნობის საკითხი დგება, საქართველოს პრობლემა მიაფუჭიონ, რომ შემდეგ უკვე უღარდელათ და შეუბრალებლათ იმუშაონ ქართველი ხალხის ზურგზე.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს ქართველი ხალხი ამ ახალ თავდასხმასაც მოიგერიებს. და იგი ახლაც, როგორც აქამდე, აშკარათ და ყველასათვის დასანახათ გამოაჩენს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ოკუპანტებისადმი. იგი ახალ ახალ საბუთს მისცემს ქვეყანას თავის შეუპოვებლობისა და მტკიცე გადაწყვეტილებისა— რომ გაინთავისუფლოს თავი მოძალადეებისაგან, რომელნიც ჯიჯგნიან მის სხეულს და არღვევენ მის ეროვნულ ცხოვრებას. ყოველი ქართველი ამ კამათ თავის პოსტზე უნდა იდგეს. და მთავრობამ კი გაორკვეტილი ენერგიით უნდა განაგრძოს ყველა იმ მახინაციების დარღვევა, რომლითაც ბოლშევიკები ფიქრობენ ფონს გავიდენ.

ქართველ ხალხს ყოველთვის დაუჭერია ეგზემენი თავისუფლების დაცვაში და დღესაც ის არ უღალატებს თავის ტრადიციას.

ვაჟინგუთონის კოფეხონია.

რა დიდი რიხით დაიწყო ვაჟინგუთონის კონფერენცია! რამდენს მოვლოდენ მისგან! მაგრამ ნამდვილათ კი იგი ისე წყნარათ და ჩუმათ მოკცდა, რომ თითქმის არავის გაუგია! მაგრამ იგი მაინც არ არის მოკლებული თავ-



ვის მნიშვნელობას. იგი ბევრი რამის მაჩვენებელია.

რა გააკეთა მან? და რის გაკეთება ქონდა მიზნათ დასახული?

პირველი და მთავარი საკითხი იყო საზღვაო შეიარაღების შემცირება. ამ საკითხში ევროპის და ამერიკის დიდმა სახელმწიფოებმა ერთგვარი შედეგი, თუმცა ძალიან მცირე, განახორციელეს. იგი გამოიხატება დიდი ჯავშნოსანი გემების რიცხვის შეზღუდვაში. კონფერენციამ განსაზღვრა, რომელ ქვეყანას რამდენი გემი უნდა ყავდეს და როგორი პროპორცია უნდა არსებობდეს მათ ძალებ შორის. ამერიკამ დიპლომატიკა უფლება იმდენი დიდი გემის ყოლის, რამდენიც ინგლისს ეკუთვნის. იაპონიას კი მისი 70% მიანიჭეს. ეს იყო და ეს. დანარჩენ საზღვაო შეიარაღებულ ძალების შესახებ, განსაკუთრებით სუბმარინებზე—ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ხმელეთზე განიარაღების საკითხიც ლაპარაკის სტადიიდან არ გამოსულა.

მეორე საკითხი იყო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა წყნარ ოკეანეში. ამ კითხვაშიაც კონფერენციამ ერთგვარი შედეგი მიიღო: ამერიკამ შესძლო ინგლის-იაპონიას თავის ძველ ხელშეკრულებებზე ხელის აღებინება. სამაგიეროდ დაარსდა დიდი სახელმწიფოს შეთანხმება 10 წლით წყნარ ოკეანეზე სადღა კითხვების უფროსად გადაჭრის და იქ არსებული მდგომარეობის დაცვის შესახებ, გარდა ზოგიერთ კუნძულებზე სადღა საკითხებისა, რომელიც თვით კონფერენციამ იქნა მოგვარებული.

ამ მთავარ პრობლემებთან ერთად დადგა მრავალი სხვა საკითხები: ჩინეთის, რუსეთის შორეულ ილმოსავლეთის და სხვ. მაგრამ მათ შესახებ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდნენ. მხოლოდ ჩინეთი, რომელიც კონფერენციამ იყო, მის დაუკითხავათ და დაუთანხმებლათ ღია სახელმწიფოთ აღიარეს ცველასათვის და თავისუფალ კონკურენციის და მეტოქეობის ბედზე მიაგდეს. მას მოსთხოვეს, არავისთვის განსაკუთრებული უპირატესობანი და უფლებანი არ მიენიჭებია, არამედ ცველასთვის თანასწორი უფლება მიეცა იქ თავის ინტერესების დაცვის.

რუსეთის შესახებაც აღიარეს ტერიტორიის ხელშეუხებლობა, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ დროებით იაპონიის ჯარის იქ დარჩენა შესაძლებლათ იყნეს.

როგორც ხედავთ ეს ძალიან შორსმავალი იმედებისაგან, რომელსაც ამ კონფერენციამ ამყარებდნენ.

განიარაღება არ მოხდა. ზავის მხოლოდ აჩრდილია საქმით ორჯოფ დადგენილებებით უზრუნველყოფილი.

მაგრამ ამ კონფერენციას მაინც აქვს თავის მნიშვნელობა. პირველათ ყოვლისა იგი გვიჩვენებს, რომ დიდი მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი, თანდათან ევროპიდან ამერიკის შტატისაკენ იხრება. დღევანდლამდე კაცობრიობის მებარიადტე და მფლობელი პატარა განათლებული ევროპა იყო. ამერიკის შტატები—ევროპიელებით დასახლებული, მეტროპოლიის საქმეებში არ ერეოდნენ და მხოლოდ თავის ქვეყნის მოწყობაზე ფიქრობდნენ. მხოლოდ ამ უკანასკნელ ათეულ წლებში გამოჩნდნენ ისტორიულ მსოფლიო ასპარეზზე ერთი მხრით იაპონია აზიიდან და მეორე მხრით შეერთებული შტატები ამერიკიდან. ერთიც და მეორეც შევიდნენ ევროპის სახელმწიფოთა კონცერტში, აქტიური მონაწილე გახდნენ მსოფლიო ომის, და დღესაც აქტიური და მიუცილებელი ელემენტი შეიქნენ მსოფლიო პოლიტიკის. ევროპის განუყოფელი ბატონობა მოისპო. კიდევ მეტი. მისი ნახევრათ დარღვეული ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება ძალიან თხოულობს ამერიკის დახმარებას.

ამ რიგათ საერთაშორისო მდგომარეობა ერთი ათად რთულდება; ეს შედეგია რასაკვირველია კაპიტალიზმის მსოფლიოში ექსტენსიური გაფართოების და ინტენსიური ზრდის. იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთა ექსპლოატაციით იკვებებოდა ევროპის კაპიტალი თანდათან მცირდება, ხოლო პრეტენდენტთა რიცხვი იზრდება. ვაშინგტონმა ეს კითხვები მხოლოდ დასვა. დიპლომატიკაში გაწვრთნილმა და დახელოვნებულმა ევროპამ მოახერხა ამერიკის ახალ დიპლომატიის ცდა თითქმის არარაობამდე დაეცვანა. მაგრამ იგი ასე ადვილათ ვერ დასძლევს ამ დიდ ეკონომიურ ძალას და გააღვენას, რომელსაც იჩენს ამერიკის კაპიტალი. ევროპა და აზია უკვე გრძნობს ამ ახალი ძალის გავლენას. ვაშინგტონის კონფერენციამ გადაუჭრელობის გამო გამო ამ პრობლემას ისევ კაპიტალისტური სტიქიის ქაოტიური ძალები დაეპატრონენ. და ამ პატრონობისაგან კი შეი-

ძლება მივიღოთ მხოლოდ ახალი კონფლიქტები და ომები უფრო ფართო მასშტაბით და უფრო საშინელი, ვინემ დღემდე უწილავს კაცობრიობას.

როგორ გავიგოთ სივართღა საქართველოს შესახებ.

(გ. «ფორვარდის» რედაქციას)

ძვირფასო ამხანაგო! თქვენი გაზეთის უკანასკმელ ნომერში მოთავსებულია წერილი გ. პ. კოტის, რომელიც ექიმდება ინგლისში საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლობის დაშვებას და გზადაგზა მთელ რიგ საკითხებს უსვამს ამხ. რამზეი მაკლონალდს.

ამ საკითხზე ამხ. მაკლონალდი თვით გასცემს პასუხს, მე კი მიინდა და ვალდებული ვარ შევხუ არსებითათ ზოგიერთ მის მტკიცებას, მით უმეტეს, რომ ბ-ნი კოტი თავის წერილში ილაშქრებს როგორც ჩემს, ისე საქართველოს სოც.-დემ. წინააღმდეგ.

1. ბ-ნი კოტი ფიქრობს, რომ დავა სწარმოებს ქართველ სოც.-დემოკრატებსა და ქართველ ბოლშევიკებს შორის, მას ჰგონია, რომ ამ დავაში მოპირდაპირე მხარეებათ გამოვდივართ ჩვენ და საქართველოს საბჭოთა მთავრობა.

ნამდვილათ კი დავა არსებობს ერთი მხრით ჩვენს, ე. ი. საქართველოს ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებსა და მეორე მხრით მოსკოვის მთავრობას შორის.

მოსკოვის მთავრობამ უკვე 1920 წელს გადასწყვიტა ჩვენი ქვეყნის დაპყრობა და შესრულა შემდეგ წელში ეს გეგმა, წამოიყვანა რა საქართველოს წინააღმდეგ 18, 20, 28, 32 ქვეითა დივიზიები მე-11 არმიის და 9, 31, 33, 34, ქვეითა დივიზიები მე-9 არმიის, მატროსების პოლკი, 12 და 18 ცხენოსანთა დივიზიები, ყაზახთა დივიზია, ცხენოსანთა რაზმები «განსაკუთრებულ დანიშნულებისა», «კუთრსანტების» რაზმები და სხვა სამხედრო ნაწილები ტანკებით და არტილერიით. ქართველი კომუნისტები ამ ჯარში არ ერია.

მაშასადამე მხარეებათ ჩვენს დავაში ინგლისის საზოგადოებრივი აზრის წინაშე უნდა ვიყოთ ჩვენ და მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლები.

ეს წარმომადგენლები დიდი ხანია სხედან ლონდონში. რატომ არ იმართლებენ თავს იმ ბრალდებისაგან, რომელიც ჩვენ მათ წავუყენეთ? რატომ ცდილობენ ამოფარონ უკან სხვა პირებს, მოსკოვის დაქირავებულ აგენტებს, რომელნიც მართვენ დღეს ჩვენს ქვეყანას საოკუპაციო ჯარის საშვალებით?

2) ბ-ნი კოტი ცდილობს ისე მოაჩვენოს ქვეყანას, თითქოს ჩვენ გავუბოღდეთ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელთა შეხვედრას.

მაგრამ აი დაქტი, რომლის არსებობა ალბათ ბოლშევიკების ამ დამცველმა არ უნდა იცოდეს.

21 ივნისს 1921 წელს მე გავუგზავნე მისტერ ლანსბურს, გაზ. «დეილი ჰერალდის» რედაქტორს წერილი, რომელშიაც ვწარდი სიტყვა-სიტყვით შემდეგს:

ძვირფასო მისტერ ლანსბურ!

იმ ლაპარაკის დროს, რომელიც მე მქონდა თქვენთან ბრაიტონში ამა თვის 21-ს თქვენი ეჭვი გამოთქვით იმაში, თუ რამდენათ შეეძებოდა სინამდვილეს ის, რომელიც წარვუდგინეთ «ლაბურ პარტიის» ცრილობას საქართველოზე მოსკოვის საბჭოთა მთავრობის თავდასხმის შესახებ. და ამის დასამტკიცებლათ ე. ი. ჩვენგან მიცემული ცნობების შესადაარებლათ იმ ცნობებთან, რომელიც გადმოცემული უნდა გქონოდათ მოსკოვის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელისაგან, თქვენ წინადადება მომეცით, შევხვედროდი ბ-ნ კრასინს, თქვენსა და თქვენი მეგობრების თანადასწრებით. მე სიამოვნებით მივიღე ეს წინადადება და თქვენც თავის თავზე იდევით ამ შეხვედრის მოწყობა. მაგრამ ეს შეხვედრა არ მოხდა ბრაიტონში ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ პარასკევამდე (1 ივნისამდე) ლონდონში ვრჩები და თუ თქვენ კიდევ რაიმე ეჭვი გეპარებათ მოწოდებულ ცნობის სისწორესინამდვილეში, მე მზათ ვარ ერთ რომელიმე დღეს თქვენის, თქვენი მეგობრების და ბ-ნ კრასინის თანადასწრებით დაგიმტკიცოთ, რომ საქართველო გახდა მსხვერპლი მოსკოვის მთავრობის იმპერიალისტური შემოსევისა და დღესაც ამ მთავრობის ჯარებს აქვს იგი დაკავებული. გარწმუნებთ, რომ უღრმესი პატივისცემა თქვენდამი პირადათ და იმ პარტიისადმი, რომელსაც თქვენ ეკუთვნით, არის მიზეზი ჩემი წრფელი



სურვილის გაგაცნოთ თქვენ სრული სიმართლე საქართველოს შესახებ.

ამის საპასუხოდ მისტერ ლანსბურმა შემდეგი სტრიქონები მომწერა:

დვირფასო ბ-ნო უორდანია!

აღბათ გაუგებრობას უნდა ქონდეს ადგილი თქვენ მხრივ იმის შესახებ, რაც მე დაგპირდით, როდესაც ბრაიტონში ვიცავი. მე გითხარით, რომ შევეცდები მოვაწყო თქვენი შეხვედრა კრასინთან.

მე დავუბრუნდი მუშაობას მხოლოდ კვირას, რადგან შაბათს ქალაქი ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ იყო, ორშაბათს მივსწერე ბ-ნ კლიჩკოს, გაუგზავნე ყველა ის დოკუმენტები, რომელიც თქვენგან მივიღე, და წინადადება მივეცი თქვენი შეხვედრის, ახლა ვუცდი მის პასუხს და მიღებისთანავე გაცნობებთ. მაგრამ თქვენ ძალიან მცირე ვადას გვაძლევთ, თუ მართლა პარასკევს მიდიხართ, რადგან ყველა ჩვენგანი საქმიანა დატვირთული.

თქვენი ლანსბური.

და ამის შემდეგ მე არ მიმიღია მ-რ ლანსბურისაგან არც ერთი სიტყვა. არ მიმიღია უკან ის საბუთებიც კი, რომელიც გადავეცი მას მხოლოდ მოკლე ვადით, იმ პირობით, რომ უკანვე დაებრუნებოდა.

აღბათ ლანსბური თვითონაც დღემდე უცდის პასუხს მოსკოვის წარმომადგენლისაგან ლონდონში.

მე ვსარგებლობ შემთხვევით, და ხელ-ახლა ვიმეორებ, რომ მზათ ვარ შეგზავდე ბ-ნ კრასინს ინგლისის პროლეტარიატის თანადასწრებით და წავუყენო დამამტკიცებელი საბუთები იმ ბოროტი მოქმედების, რომელიც მისმა მთავრობამ ჩაიდინა ჩვენი ხალხის წინააღმდეგ.

3. მ-ერ კოტსი აცხადებს, შეუძლებელია საქმის გარჩევა 3,000 მილის სიშორეზე იმ ადგილიდან, სადაც მას ქონდა ადგილი. მე ამას სრულიად ვეთანხმები. და აი ამიტომ ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვდით გაგზავნილიყო საქართველოში საერთაშორისო შერეული კომისია, შემდგარი სოციალდემოკრატებისა და კომუნისტებისაგან, რომელიც ადგილობრივ გამომარკვევდა საქმის მდგომარეობას და შეიტკობდა ქართველი ხალხის ნამდვილ ნებისყოფას.

ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, რომ ამ კომი-

სიაში მონაწილეობა მიეღო მისტერ კოტსის, რომელიც წინდაწინ დაწმუნებულია, რომ ბოლშევიკები ყველაფერში მართალი არიან, მაშინაც კი როდესაც დამოუკიდებელ პატარა ქვეყანას იპყრობენ, თავისუფალ ხალხს იმონებენ, მისგან შექმნილ დემოკრატიულ დაწესებულებებს ანგრევენ და ციხეებს კი მუშებთან და გლეხებთან ავსებენ.

როგორც ვიცით, მოსკოვის მთავრობამ (თავის აგენტების პირით, რომელნიც თფილისში ყავს გაგზავნილი მართველების თანამდებობაზე) უარი განაცხადა შერეული კომისიის დაშვებაზე საქართველოში.

მე ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ხელახლა გავიმეორო ჩვენი მოთხოვნილება ამ კომისიის შესახებ და ვფიქრობ, რომ მისტერ კოტსის ბევრი საბუთი არ დაურჩება ამ მოთხოვნის წინააღმდეგ.

4. მისტერ კოტსს სურს, რომ ჩვენ ამხ. მაკდონალდთან ერთად ვიშუამდგომლოთ ინგლისის საგარეო სამინისტროს წინაშე ლონდონში «საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის» დაშვების სასარგებლოდ.

მაგრამ «საბჭოთა საქართველო» არ არსებობს დედამისის ზურგზე, ვინაიდან მუშათა დეპუტატების საბჭოები დიდი ხანია ბოლშევიკებისგან გარეკილი არიან.

არსებობს მხოლოდ ოკუპაციით დაკავებული საქართველო. და ამ ქვეყანაში არის ორი საწინააღმდეგო ძალა: საქართველოს ხალხი და რუსის საოკუპაციო არმია. ამ ჯარის სახელით, რომელიც მოსკოვის მთავრობისგან არის გამოგზავნილი, დაე ამ მთავრობის წარმომადგენლებმა ილაპარაკონ.

მომჩივანი და მოპასუხე ორივე აქ იმყოფებიან. ჩვენ ვიწვევთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ჩვენს მოსამართლეთ და მზათ ვართ, რასაკვირველია, ყოველ წუთს წარვუდგინოთ ჩვენი საქმე განსახილველათ ინგლისის მუშებს.

ხელახლა ერთი-ორათ უფრო დაქინებით ვიმეორებთ ჩვენს მოთხოვნილებას, რომ საკითხი გადაჭრილ იქნეს მუშათა ინტერნაციონალის არბიტრაჟით.

5. უორდანია.





პასუხი ბ-ნ ცხაკაიას.

ბ-ნ ცხაკაიას ხელმოწერილი დოკუმენტი, ძალაში ვრცელ «პასუხს» იძლევა მის მიერვე დასმულ რამოდენიმე ათეულ საკითხზე, და ამავე დროს სრულიად უყურადღებოდ სტოვებს იმ ბრალდებებს, რომელიც მოსკოვის მთავრობას წარუდგინა მაკდონალდმა (თავის წერილში ბ-ნ კრასინის სახელზე) და ნ. ჟორდანიამ (თავის წერილში სოც. რევ. № 32).

ცხადია ამ ბრალდებებზე მას სათქმელი არაფერი აქვს.

მართლაც, რა უნდა უპასუხოს მან ასეთ კითხვებზე: ეწევა თუ არა მოსკოვის მთავრობა საქართველოს მიმართ ყოვლად უხეშ იმპერიალისტურ პოლიტიკას? დაიპყრო მან თუ არა ეს ქვეყანა? მოსპო თუ არა მან თავისუფლება ამ ხალხის?

ამ კითხვებზე პასუხის მიცემის მაგიერ მთელ რიგ აღმაშფოთებელ «ფაქტებს» თხზავს და ცდილობს, ამ საშვალდებით მშრალზე გამოიყვანოს მოსკოვის მთავრობა, ან ცოველ შემთხვევაში იმდენათ დააბნოს საკითხი, რომ ბოლოს დაბოლოს მისი გარკვევა შეუძლებელი გახდეს.

და რომ ეს უკანდახვევის გზა მოვუჭრათ ბ-ნ ცხაკაიას მე ვიღებ თავზე თავიდან ბოლომდე მივდიო მის «ფაქტებს» და დებულებებს, რომ ამით კურნალის მკითხველებს დავანახოთ, რამდენათ შეიძლება კაცმა ბოლშევიკების მოწოდებულ ცნობების სიმართლეს დაუჯეროს.

1. ძველი რეჟიმის დროს.

1. ბ-ნი ცხაკაია გვარწმუნებს, რომ ბევრი შემთხვევა იყო პროვოკაციისა საქართველოს მენშევიკური მთავრობის მხრივ რუსეთის მიმართ.

იმის დასაწახვამთ, თუ რამდენათ შორსაა ასეთი მტკიცება სინამდვილისაგან, საკმარისია მხოლოდ გეოგრაფიის ქარტის გადახედვა. განა შეეძლო პატარა საქართველოს საომრათ გამოეწვია ვებერთელა რუსეთი? რასაკვირველია არა. მაგრამ როცა დიდ იმპერიალისტურ ქვეყანას სურს პატარა მეზობელი სახელმწიფოს დაპყრობა, ის თავდასხმის საბაბს ადვილათ იპოვის.

ბ-ნი ცხაკაია ჩამოთვლის მთელ რიგ აჯანყებებს, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოში წითელ არმიელების შემოსევამდე.

აქ სიცრუე სწორეთ იმდენია, რამდენიც მტკიცება.

ყველა ეს ეგრეთ წოდებული «აჯანყებები», რომელზედაც ბ-ნი ცხაკაია ლაპარაკობს (და რომელთაც ადგილი ქონდათ რუსეთის საზღვრების აშლას) წარმოადგენენ ბოლშევიკურ რაზმების შემოჭრას საქართველოში რუსეთიდან, ცოფილი მეფის ოფიცრების ხელმძღვანელობით და ზარბაზან-ტყვისმფრქვეველებით.

მაგ. 1918 წელს სოხუმს დაეპატრონენ ტუაქსედან შავი-ზღვის პირით შემოსული ბოლშევიკური რაზმები, რომელთაც რამდენიმე ათეული ზარბაზანიც ქონდათ თან.

ასეთივე გზით იყო წარმოშობილი სამურზაყანოს აჯანყება.

ცხინვალსა, დუშეთსა, საჩხერესა და გორში აჯანყებებს ახდენდენ კავკავიდან მოსული ბოლშევიკები.

მხოლოდ გურიაში გამოვიდენ ბოლშევიკების აგენტები უზარბაზნოთ. მაგრამ აქ მოასწრეს მხოლოდ ორი სოფლის კანცელარიის დაპყრობა ღამით და თვით მცხოვრებლებისგან იქნენ შეპყრობილი. მთავრობამ მხოლოდ მაშინ გაიგო ცოველი ამბავი, როცა «აჯანყება» უკვე ჩამქრალი იყო.

ბ-ნი ცხაკაია აცხადებს, თითქოს საქართველოს მთავრობა აჯანყებებს აქრობდა 1918 წელს გერმანელების ჯარის შემწეობით, ხოლო 1919-20 წელს ანტანტის ჯარების დახმარებით.

სრული სიცრუეა. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში რესპუბლიკის დაცვაში მონაწილეობდენ მხოლოდ რესპუბლიკის მოქალაქენი, მუშები და გლეხები ცოველგვარ გარეშე ძალის დაუხმარებლათ, თუმცა თვით საქართველოში შემოჭრილ ბოლშევიკურ რაზმში ცოველგვარი ნაციის წარმომადგენელს შეხედებოდი. იცვენ: ჩინელები, ლატიშები, ყირგიზები, ბაშკირები. ხოლო უცხო ჯარები, რომელნიც იდგენ საქართველოში ერთხელაც არ ჩარეულან საქართველოს შინაურ საქმეებში.

ბ-ნი ცხაკაია სწერს აჯანყებების უსასტიკეს საშვალდებებით ჩაქრობაზე საქართველოში.

საკვირველია. კავკასიაში იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა არტილერიის დაშენით მთელი აჯანყებული ქალაქის დანგრევის და 20,000 მისი მცხოვრებლების ამოკლეტის. ეს მოხდა 1920 წელს განჯაში, რომელიც საბჭოთა არ-



ქართული
საქართველო

ტილერამ მიწასთან გაასწორა მხოლოდ იმი-
ტომ, რომ მან არ იცნო ბოლშევიკების ძალა-
უფლება.

ბ-ნი ცხაკაია სწერს რომ ქართველი გლეხე-
ბი ბრალდაუდებლათ იხუთებოდნენ საქართვე-
ლოს მენშევიკთა საპარტიოებში.

სინამდვილეში კი იცო სულ სხვა:

საქართველოს მთავრობა შეიარაღებული
გლეხების და მუშების საშეაღებით იგერიებდა
მტრების თავდასხმას რესპუბლიკაზე, ხოლო
ჩრდილოეთიდან შემოსულ ბოლშევიკურ აგენ-
ტებს, რომელნიც ჯაშუშობას ეწეოდნენ და
შეთქმულებებს აწოდებდნენ საქართველოს დაიშუ-
კიდებლობის წინააღმდეგ იჭერდა და უკან რუ-
სეთშივე აგზავნიდა. ქართველი გლეხებით და
მუშებით აივსო ციხეები მხოლოდ მას შემდეგ,
რაც შემოდებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება,
რომელიც მოსკოვის ბიშტებზე ეყრდნობა.

ცხაკაია ამტკიცებს, რომ ბოლომდე მამ-
ბობებამ თავი იჩინა ზაქათალის ოლქში, აწერ-
ბეიჯანის საზღვართან ახლო და «ნეიტრალურ
ზონაში» (ბორჩალოს მაზრა თფილისის გუბერ-
ნიის საქართველოს და სომხეთის შუა).

ზაქათალა ამ შემთხვევაში სრულიად არაფერ
შუაშია.—იქ არავითარი შეტაკებები არ ცო-
ფილა და ბ-ნი ცხაკაიას ამისი ყურით მოთრევა
ცხადია, მხოლოდ საკითხის არეც-დარევისთვის
დასჭირდა.

ხოლო რაც შეეხება ბორჩალოს, იქიდან 11
თებერვალს 1922 წელს დაიწყო შემოტევა საბ-
ჭოთა მე-11 არმიის და ბუდიონის ცხენოსანი
ჯარის, რომელიც ტანკებით და ძლიერი არტი-
ლერიით იცო შეიარაღებული.

2. ბ-ნი ცხაკაია გვარწმუნებს, რომ ქემალი-
სტების პოზიცია ამ ომის დროს მოცდის პო-
ზიცია იყოფო.

ნამდვილათ კი ქემალისტებმა იცადეს მანამდე,
სანამ მოსკოვმა არ მისცა მათ ნიშანი, რომ
ზურგიდან დაგვეხმოდნენ თავს. და აი სწორეთ
თფილისის გარშემო გამწვავებულ ბრძოლის
დროს, (22 თებერვალს) ანგორის მთავრობამ
წამოგვიცენა ულტიმატუმი არდაგანის და არ-
თვინის გადაცემის შესახებ. და შემდეგ ამისა,
მოაწერეს რა ხელი ხელშეკრულებას საბჭოთა
რუსეთთან მოსკოვში, დაეცნენ ჩვენ ჯარებს ბა-
თუმსა და ბათუმის ოლქში, რითაც საბოლოოთ
გადასტურეს ომის ბედი.

რაც შეეხება სომხეთის მთავრობას, მათ
ბის დროს, ჩვენ არ ვიცით რომელ მთავრობა-
ზე ლაპარაკობს ბ-ნი ცხაკაია: სომხეთი იმ
დროს უკვე დაჭერილი იყო საბჭოთა ჯარები-
საგან, რომელთა ხელმძღვანელნი განაგებდნენ
ამ მხარეს თავის აგენტების საშეაღებით.

3. ბ-ნი ცხაკაია ტყვილა ცდილობს, თფილი-
სის გარშემო ბრძოლის დღეებში მომხდარი
აჯანყება სომხეთში ბ-ნი საბახტარაშვილის რა-
დაც მანიფესტებს მიაწეროს.

საქმე უფრო მარტივით აიხსნება. თფილისის
გამწვავებულმა თავდაცვამ აიძულა ბოლშევიკე-
ბი მთელი თავისი სამხედრო ძალები, რომელ-
ნიც სომხეთში იდგნენ, და რომელთა ბიშტებზე
იცო დაკრძნობილი იქაური «რევკომი», ჩვენნი
დედა-ქალაქისკენ გამოგზავნათ. მაშინ ადგი-
ლობრივი სომეხი მცხოვრებლები აღდგნენ ბოლ-
შევიკების წინააღმდეგ, გაანათავისუფლეს სატუ-
სადოდან პოლიტიკური ხელმძღვანელები და შე-
ქმნეს ახალი ნაციონალური მართველობა.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსის
ჯარები ხელახლა შეესივნენ სომხეთს, და სას-
ტიკი ბრძოლის შემდეგ, გასტეხეს ხალხის წი-
ნააღმდეგობა და ალაღვინეს კომუნისტური მარ-
თველობა.

4. ბ-ნი ცხაკაია ამტკიცებს, თითქმის აწერ-
ბეიჯანი არ ქონოდეს ბაზათ რუსის წითელ
ჯარს.

ნამდვილათ კი მე-11 არმია, რომელმაც და-
იპყრო ფაქტიურათ საქართველო, უკვე 1920
წლის აპრილიდან იდგა აწერბეიჯანში, რომე-
ლიც მთავარ ბაზათ იქნა გამოცენებული სამ-
ხედრო ოკერაციების დროს, როგორც სომხე-
თის, ისე საქართველოს წინააღმდეგ.

5. სიწართლე «ნეიტრალურ ზონის» შესახებ
ასეთია:

«ნეიტრალური ზონა» შეიქმნა საქართველოს
და სომხეთის შორის 1919 წელს ინგლისის
სარდლობის წინადადებით, სანამ ორივე რეს-
პუბლიკის შორის საზღვრების საკითხი საბო-
ლოთ გამოირკვევოდა. ამ ზონას განაგებდა
შერეული კომისია სომხებისა და ქართველები-
საგან ინგლისის ოფიცრის ხელმძღვანელობით.

როცა 1920 წლის დამლევს სომხეთს თავს
დაესხა ქემალისტების ჯარი და ეარსი აიღო,
სომხებსა და ქართველებს შორის 1920 წლის
13 ნოემბერს დაიდვა ხელშეკრულება, რომლის

ძალით ამ ზონის დასაცველათ თურქებისაგან, მისი მართველობა სამი თვით გადაეცა საქართველოს მთავრობას. ერთი კვირის შემდეგ ხელშეკრულების დადებიდან ქეშალისტების და ბოლშევიკების ჯარის შეთანხმებული მოქმედებით სომხეთის ნაციონალური მთავრობა დაცა და მოსკოვის ხიშტებზე აღმოცენდა საბჭოთა სისტემა.

ამ ახალმა მართველებმა აღიარეს ყველა ხელშეკრულებები მეზობლებთან, დადებული ძველი მთავრობის მიერ. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობის და სომხეთის «საბჭოთა» მართველობის შორის მოხდა პრინციპიალური შეთანხმება «ნეიტრალური» ზონის ლიკვიდაციის და საქართველო-სომხეთს შორის საბოლოო საზღვრების დამყარების შესახებ.

საბოლოოთ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სპეციალურ კონფერენციაზე, რომელიც დანიშნული იყო 13 თებერვლისთვის 1921 წელს, და ამასთანვე მიღებული იყო ორივე მხრისგან ის დებულება, რომ კონფერენციის გათავებამდე «ნეიტრალურ ზონაში» დარჩენილიყო არსებული მდგომარეობა (სტატუ ქეო).

ეს კონფერენცია არ შედგა, რადგან 11 თებერვალს ღამით ბოლშევიკების ჯარები შემოიჭრნენ საქართველოს საზღვრებში ამ სადამოქონიდან.

შემდეგ მე-9 მუხლში ჩხვიძისგან უარყოფილია ის დებულება, თითქოს რუსეთიდან მცირე ჯგუფები შემოსულიყო რუსის ჯარების, უფრო მორალური დახმარებისთვის, ვინემ ფიზიკურის. პასუხათ წერილში ჩამოთვლილია ყველა დივიზიების სახელები, რომელნიც საქართველოს შემოესივნ. და რომ შემოტყვის გეგმა მოსკოვის გენ. შტაბისაგან იქნა შემუშავებული, რაც საბუთებით არის დამტკიცებული (მოხსენება მე-11 არმიის ხელმძღვანელ გეკერის).

ამის შემდეგ 7-14 მუხ. იგი უარყოფს ცილისწამებას იმაში, თითქოს ქართველ ჯარს არ ეომოს და თფილისი უბრალოდ დაეტოვებინოს. აღნიშნავს, რომ 30,000 ჩვენი ჯარის წინააღმდეგ ბოლშევიკებმა 120,000-იანი არმია წამოიგვანეს, რომ თფილისის მიდამოებში ბრძოლები სასტიკი იყო და ტყვე ბოლშევიკების ჯარის-კაცებიც ასობით ჩაგვივარდა ხელში, ხოლო თვით ქალაქის ქუჩებში ომი არ გაგვიმართავს იმიტომ, რომ არ გვინდოდა მასაც განჯის ბენდი სწვევდა.

თფილისს შემოსულმა კომუნისტურმა ჯარმა განათავისუფლა ციხიდან ბოროტმოქმედი პირები, რომელნიც შემდეგ ბოლშევიკებმა თავის მომხრეებათ გამოაცხადეს და კომისრებათ დაუყენეს ხალხს. მათ შემდეგ ამნისტიაც გამოაცხადეს, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ათასობით ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი და უბრალო მოქალაქენი ციხეებში ჩაეყარათ ბრალდების წაუცენებლათ, როგორც მძევლები.

შემდეგ უარყოფილია ცხაკაიას ცალბი მოთხოვნა რევოლიუციურ შინაურ აჯანყებებზე, რომელსაც თურმე შულავერის «რევ. კომიტ.» ხელმძღვანელობდა. ავტორი აღნიშნავს, რომ შულავერში მართლაც გამოვიდა პროკლამაცია ქართველი ხალხისადმი რუსის ხიშტებს უკან ამოფარებულ კომუნისტების ხელმოწერილი, მაგრამ 23 თებერვალს დამტ. კრებამ იქონია ამაზე მსჯელობა და მისი ხელის მომწერნი ქართველი ხალხის მტრებათ და გამცემლებათ გამოაცხადა. სხვა არავითარი «რევოლ. კომ.» საქართველოში არ შემდგარა და «აჯანყება» არ მოუბღენია.

ბ-ნი ცხაკაია უარყოფს ქეშალის და მოსკოვის შეთანხმებასაც კი ბათუმის შესახებ, თუმცა ეს ხელშეკრულება საყოველთაოთ გამოქვეყნებული იყო განეთებში ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ ბათუმში ვიცავით. ეს საუცხოვე ნიშნუბია მისი უტიფრობის.

ერის თავდასაცველათ შემოსეულთა წითელ ჯარების წინააღმდეგ საქართველოს მთავრობა ეძებდა დახმარებს, და ამ მიზნით მიმართა მთელ განათლებულ კაცობრიობას და პირველათ ცოცხლის მთელი ქვეყნის შეგნებულ სოციალისტურ პროლეტარიატს. მაგრამ მას არავითარი დახმარება რუსის რეაქციონერებისგან არც უთხოვნია და არც მიუღია. ბათუმის პორტში რუსის სამხედრო გეგები არ ყოფილა, იდგა მხოლოდ რამდენიმე კერძო საგაპრო გემები, რომლებიც შემდეგ პატრონებმა წაიყვანეს. ჩვენ დაგვეხმარა მხოლოდ საფრანგეთის კრესიერი, რომელიც ფოთში იდგა (და არა ბათუმში) და სოხუმის ნაპირების დაცვაში გველოდა.

ბ-ნი ცხაკაია—შინაურ პარტიულ ოპორტიონისა და იმეგლიებს, მაგრამ რათ დასჭირდა ამ ერთი უმნიშვნელო ჯგუფის მოხსენება, რომელიც პარტიულ დისციპლინას არ დაემორჩილა, ეს ჩვენთვის გაუგებარია. ნეტა რა კავშირი ქონდათ მათ კომუნისტების შემოსევასთან?



14. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს დატოვებას, უნდა აღვნიშნავთ, რომ იგი წავიდა არა საფრანგეთის ჯავშნოსანთ, არამედ იტალიური სავაჭრო გემით. და წავიდა საქართველოდან არა პირადი საშისწროებისაგან გადარჩენის მიზნით, რადგან იგი იმ სოციალისტებისგან შესდგება; რომელთაც ცარიზმის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის დროს აშკარათ დამტკიცეს, რომ შეუძლიათ ყოველ პირად საშისწროებას პირდაპირ შეხედუნ და თვლიც არ დახამამონ. მაგრამ საქართველოს მთავრობის დარჩენა მტრისაგან დაპყრობილ ტერიტორიაზე, შექმნიდა ილიუზიას, თითქოს მან იცნო და ქედი მოიხარა ოკუპანტების წინაშე. ამიტომ ხალხი მოსურნე იყო, რომ მთავრობა როგორც ცოცხალი წარმომადგენელი მისი დამოუკიდებლობის იდეის, და აღპურვილი ხალხის ნდობით, წასულიყო ევროპაში და აქ განეგრძო დაცვა ხალხის უდავო უფლებების.

15. ბ-ნ ცხაკაიას მოყავს ციტატები ორი ბოლშევიკური წიგნიდან. მაგრამ ისინი იმდენივე ნდობის ღირსია, რამდენისაც თვით ბ-ნი ცხაკაია, რომლის სიმართლის მოცარებას მკითხველი დაინახავს ჩემგან განხილულ დოკუმენტიდან.

მე მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ბ-ნ ცხაკაიას მიერ დასახელებულ ბოლშევიკებს გარდა, საქართველოზე სწერდნენ: მკდონალოდი, ტ. შოუ, ქ-ნი-სნოუდენი, კ. კაუცკი, ლ. კაუცკი, ე. ვანდერველდე, ლ. ვანდერველდე, დე ბრიუკერი, გიუსმანსი, რენდელი, მერკეიმი; დეპი ინგელსი, სინდიკალისტი მარვე; პრაფ. ე. სენარო; გრენიე; ჟანტობონი, ე. მარტენი, პრაფ. ნიპოლდი, ბრანტინგი, ანკენსმიტი; ლ. მარტოვი; ოლდენბურგი და ბევრი სხვები. ფიქრობ, რომ ამათ მოწმობას მტტი ფასი და მნიშვნელობა ექვს, ვინემ ბ-ნ ცხაკაიას და მის ამხანაგების შეთხზულ ამბებს.

II. ახალი რეჟიმის ქვეშ:

I. დაპყრობის პირველ დღიდანვე ბოლშევიკების მართველობის გულწრფელი და შემარბებელი ზომები იმაში გამოიხატა, რომ მათ დაატუსაღეს საქართველოში დარჩენილი წევრები სოციალისტური მთავრობის, დამფუძნებელი კრების, სოც.-დემ. ცენტრ. კომიტეტის, ერობის, ქალაქთა თვითმართველობების, თფ.

მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მუშათა პრაფ. კავშირების და აგრეთვე ხელმძღვანელები სახალხო გვარდიის. ამ ქამათ საპრობილეში სხედან 3,000-დე პოლიტიკურები, გარდა ამისა ათასობით ქართველი მოქალაქეები, (მათ შორის 2,000 რკინის-გზელები) იძულებით გადასახლებული იქნენ საქართველოდან რუსეთში.

2. ბ-ნი ცხაკაია ამტკიცებს, რომ ბოლშევიკების მოქმედება საქართველოში სრულიად არ წააგავს მათს მოღვაწეობას რუსეთში ნოემბრის გადატრიალების შემდეგ. ეს სიმართლეს მოკლებულია, იქაც და აქაც მათ გარევეს დამოუკიდებელი კრება, დემოკრატიულათ არჩეული ადგილობრივი თვითმართველობები; იქაც და აქაც გააუქმეს სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების თავისუფლება; შემოიღეს შრომის მილიტარიზაცია, მოქალაქეები უფლებო მონებთ აქციეს, ჩეკას თვითნებობა და ბიშტების თარეში გაამეფეს, იქიდან აქაც წარმოშვეს ბიუროკრატიზმი; ქვეცნის დანგრევა და შიმშილი.

აი ამშინა მსგავსება. ანუ ცხაკაიას განსხვავება კი გამოიხატება იმაში; რომე საქართველოში ყოველივე ამას თან ერთვის ნაციონალური დენა; ქართველ ხალხის უფლებათა სამასხაროთ ავდება და უზემო რუსიფიკაცია, რომლის მსგავსი საქართველოს ცარიზმის უსაშინელეს ხანაშიაც კი არ უხილავს.

3. ბ-ნი ცხაკაია ამხ. ყორდანიას და ჩემრ შეთქმულობით ხსნის საქ. სოც.-დემოკრატიის გავლენას ხალხში. ამ გავლენას მოწმობენ შემდეგი ფაქტები: ა) სოციალისტებით ავსებული ციხეები. ბ) მუშათა მასიური მანიფესტაციები; გ) სამოციანთისიანი მუშათა მასსა, რომელიც გააცვა ბოლშევიკების ციხეში ნაწამებ ჩეენამხ; ყოფილ სამხედრო მინ. ამხ. პარმენ ჭიჭინაძის ცხედარს. დ) საყოველთაო გაფიცვები საქართველოში, რომელიც ეხლახან მოხდა. ე) პრაფ. კავშირთა არჩენები. ვ) შეუძლებლობა ბოლშევიკებისთვის განახლება მუშათა საბჭოების მოქმედების, ისეთი წესით არჩეულის, როგორც ეს იყო დემოკრატიულ საქართველოში. წ) ბოლშევიკების მიერ უარყოფა სოციალისტებისა და კომუნისტებისგან შედგენილი შერეული კომისიის მიერ საქართველოში რეფორენდუმის მოხდენისა.

როცა ყველა ამას ჩვენი შეთქმულებით ხსნიან, ბოლშევიკები იმეორებენ მეფის ქანდარმებს, რომლებიც სწორეთ ასე ხსნიდნ თავისუფლებისადმი ხალხის მისწრაფებას.

საქართველოში მართლაც შეიღება აღნიშვნა რევოლუციონურ ძალთა მუშაობის—მაგრამ ესაა—ძალები ბოლშევიკური დიქტატურის, რომლის წინააღმდეგ იბრძვის ჩვენი ხალხიც.

4. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა დღეს მართლაც არაფრით განირჩევა რუსეთის მდგომარეობისგან—იგივე ქალსი, იგივე სიღატაკე. სწორეთ ისე, როგორც ვერ გავარჩევთ ერთიმეორისგან კალიისაგან მოტელევილ ორ მინდორს.

მაგრამ ბ-ნი ცხაკაია ტყვილა უმაღლავს მკითხველებს, თუ როგორი მდგომარეობა იყო საქართველოში ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ, როცა მისი ფაბრიკები მუშაობდნენ, რკინის-გზებზე მოძრაობა ნორმალური იყო, და ქვეყანას შიმშილის საშინელება არ ეგემა.

აი რამდენიმე ციფრი: მოსკოვის ჯარების შემოსევის შემდეგ საქართველოში ნათესების რაოდენობა შემცირდა 2-ჯერ, ნახშირის ამოღება 7-ჯერ, ქარხნების წარმოება 5-6 ჯერ, ხოლო სიძვირე გაიზარდა 100-150 ჯერ.

ბოლშევიკური რეჟიმის ასეთ შედეგებს აღიარებს სხვათა შორის თვით ბოლშევიკების კომისარი საქართველოში ბ-ნი სვანიძე.

«საბჭოთა კონსტიტუციიდან» საქართველოში მოქმედებენ მხოლოდ ის მუხლები, რომლებიც «ჩეკას» აძლევს ხალხის წამების უფლებას და ხიშტების ძალაუფლებას ამცარვს.

საბჭოები მოქმედებდნენ საქართველოში ბოლშევიკების შემოსევამდე და შეწყვიტეს მუშაობა მხოლოდ ბოლშევიკების მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ.

5. საქართველოს დამოუკიდებლობა საგარეო საქმეში თავიდანვე უხეში მატყუარობა იყო ბოლშევიკების მხრივ. შემოსვლის მეორე დღიდანვე მოსკოვმა დანიშნა ჩვენი ქვეყნის მმართველებათ თავის აგენტები, რომლებიც აწარმოებენ საგარეო ურთიერთობას საქართველოს სახელით. ახლა კი ეს ფიქტიური დამოუკიდებლობაც გაუქმებულია, რადგან ჩვენი ქვეყანა «ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის» ნაწილათ არის გადაქცეული, და ბოლშევიკები მას ისე უყურებენ, როგორც მოსკოვის სამეფოს პროვინციას.

6. რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას «საქართველოს ვნეშტორგისას», ბ-ნ ცხაკაიას დაავიწყდა მოგოლოდა, როგორ გაზიდეს რუსეთში მატარებლებით საქართველოს სიმდიდრენი, მედიკამენტებიდან დაწყებული საოჯახო ნივთებამდე, ტრამვის ვაგონების რელსებიდან დაწყებული—მარგანცამდე, ქვანახშირამდე და ხილამდე, რომელიც ბოლშევიკებმა თავის სამხედრო ნადავლათ გამოაცხადეს.


7. რას წარმოადგენს რუსეთი საქართველოსთვის, ამაზე უნდა ეკითხოს არა ბ-ნ ცხაკაიას, არამედ ქართველ ხალხს. მე მგონია მთელი ხალხის აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა რუსეთი ჩვენთვის იგივეა, რაც ბელგიისთვის იყო გერმანიის იმპერია ვიღველმ მეორის იმ დროს, როცა ბელგიის ხალხი გმინავდა ოკუპაციის მძიმე უღელ ქვეშ.

8. ბ-ნი ცხაკაია ეხება საქართველოს კომუნისტების თვალსაზრისს, და ამავე დროს არას ანბობს იმაზე, თუ ვისგან შესდგებიან ეს «ქართველი კომუნისტები». მესამე ინტერნაციონალის ბიუროს ანგარიშებიდან სჩანს, რომ საქკომ. პარტიაში ითვლება 10,000 კაცი. როგორც ვიცით ბიურო არ ერიდება ხშირათ ციფრების გადიდებას, მაგრამ მივიღოთ მაინც ეს ციფრი 10,000 და ვიანგარიშოთ. ამ რიცხვში შედიან:

- ა) ბოლშევიკები, რომელნიც შესაზრებენ საქართველოს დამპყრობ ჯარში, ბ) ბოლშევიკი ჩინოვნიკები და «ჩეკას» აგენტები, რომელნიც მოსკოვიდან არიან გამოგზავნილი, გ) მესამე ინტერნაციონალის აგენტატორები, რომლებითაც მოფენილია საქართველო, დ) სისხლის-სამართლის დამნაშავენი, რომელნიც ბოლშევიკებს მიემხრენ, ე) რევოლუციონერები, რომელნიც საქართველოში რუსიფიკაციური პოლიტიკის წარმოებით გახარებულნი შეუერთდნენ ბოლშევიკებს. გამოაკელით ეს ჯგუფები საერთო რიცხვიდან, და თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, რამდენი მომხრე ეგოლია კომუნისტებს ქართველ მუშებსა და გლეხებში, რომელთა შორის სოცდემოკრატის 75-80 ათასი წევრი ეავდა, ხოლო არჩევნებში 450,000-ზე მეტი ხმა მიიღო.

9. ბოლოს ბ-ნი ცხაკაია ქართველ ბოლშევიკების ყურადღებას აქცევს იმაზე თუ როგორ უნდა გაამაგრონ მათ თავისი რეჟიმი.

მაგრამ ეს ხომ იმპერიალისტური ოკუპაციის,



ხალხის უფლებათ უხეში დაპყრობის დაუარა-
ვი ღესპოტიზმის შავი რეაქციის რეჟიმი! ამი-
ტომ ნება მიბოძეთ, გამოვთქვა ჩემი აზრი იმის
შესახებ, თუ რა უნდა აკეთონ მუშებმა და
გლეხებმა საქართველოში, რომ ბოლო მოუღონ
ამ რეჟიმს, რომელიც მწარე დაცინვაა მსოფ-
ლიო პროლეტარიატის იდეალებისადმი.

ამისთვის ისინი უნდა წავიდნენ იმ გზით, რა-
მელიც ნაჩვენებია ინგლისის მუშათა პარტიის,
და მეორე ინტერნაც. ბიუროს რეზოლიუციებ-
ში და აგრეთვე რეზოლიუციებში საფრანგეთის,
ბელგიის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის და სხვ.
სოც. პარტიების რეზოლიუციებში. მათ უნდა
ხმაბაძლა მოთხოვონ საქართველოს დამპყრო-
ბელთა და მტარვალთაგან, რათა დაუღონებლივ
გაყვანილ იქნეს საოკუპაციო ჯარები ჩვენი
ქვეყნიდან. და უფლება მისცენ ჩვენ ხალხს თვით
განაგოს თავისი ბედი. მათ უნდა მტკიცეთ გა-
ნუხებადონ კრემლის თვითმპყრობელებს, რომ
ის ხალხი, რომელიც იმპერიალისტურ პოლი-
ტიკას აწარმოებს თავის მეზობლებისადმი, არ
უნდა მოელოდეს დახმარებას საერთაშორისო
მუშათა კლასისაგან, რომელიც ყველგან და
ყოველთვის წინააღმდეგია იმპერიალიზმის.

მოსკოვის მთავრობის მოთხოვნებზე და-
ხმარების შესახებ, მუშებმა უნდა უპასუხონ
წინასწარი მოთხოვნით: ხელი აიღეთ იმპერია-
ლისტურ პოლიტიკასა და დესპოტიზმზე!

ხელი აიღეთ საქართველოზე!

კ. ჩხეიძე.

ვინ არიან კომუნისტები?

«სოციალისტური უწყების» მე-22 ნომერში
მოყვანილია საინტერესო ცნობები კომუნისტუ-
რი პარტიის შესახებ.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ პა-
რტიის «გაწმენდამ» გამოაშკარავა ნამდვილი
რაოდენობა კომუნისტური პარტიის წევრებისა.
კომუნისტური პარტია მთელ რუსეთში შეიცავს
არა უმეტეს 320-325 ათასი კაცისა და სრუ-
ლიად არ არის მართალი დღემდე თვით ბოლ-
შევიკების მიერ გავრცელებული ცნობები, თი-
თქო პარტიაში 700-800 ათასი წევრი ყოლო-
დეთ.

მაშასადამე, 150 მილიონ ხალხზე გაბატონე-
ბულია უმნიშვნელო ჯგუფი 300 ათასი კაცისა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. უფრო საყურადღე-
ბოა ის, თუ ვისგან შესდგება პარტია.

ბოლშევიკები ქვეყანას ატრუებენ ციქინით,
რომ ერთად ერთი პროლეტარული პარტია ისი-
ნი არიან, რომ საბჭოთა ძალა-უფლება ჭეშმა-
რიტად მუშებისა და ლაბიბი გლეხობის ძალა-
უფლება არის. ნამდვილათ ეს ისეთივე სილალ-
ბეა, როგორც ყველა სხვა კომუნისტური «ჭე-
შმარიტება». დავუგდოთ სური მჭერმეტყვე-
ლურ ციფრებს, რომელიც აღებულია თითონ
ბოლშევიკების სტატისტიკიდან.

ზემო მოხსენებულ 320 ათას პარტიის წევ-
რმა მუშები მარტო 14%, ხოლო გლეხები—
70%. ერთიკა და მეორენიკ, მაშასადამე, შე-
ადგენენ ყველა პარტიის წევრთა ერთ მეხუთე-
დზე ოდნავ მეტს.

კითხვა იბადება: ვინ არიან დანარჩენები?
ეს—ის სეზონის ხალხია, რომელიც მიაწ-
ცდა კომუნისტურ პარტიას მისი სახელმწიფო-
ში გაბატონების შემდეგ და რომელსაც საპა-
ტიო ადგილები უკავია საბჭოთა დაწესებულე-
ბებში. მართლაც, პარტიული სტაჟის მიხედვით
კომუნისტური ორგანიზაცია საესეა 18,19 და
20 წლებში შემატებული ხალხით. ახლანდელ
წევრთა შორის 1917 წლამდე პარტიაში ყო-
ფილა მხოლოდ 2—3%, 1917 წლის ოქტომ-
ბრამდე—7-9%, მაშასადამე, წევრთა 9/10 მეტი
პარტიაში შესულა იმის შემდეგ, რაც იგი მთა-
ვრობის პარტიათ გახდა, შესულა, ე. ი. თფი-
ლი ადგილებისათვის.

ჭეშმარიტად, კომუნისტური პარტია დღეს
კომისართა პარტია არის.

პარტიის სოციალური შემადგენლობის ცვლის
პროცესი თანდათან ძლიერდება. თვით ბოლშე-
ვიკების მოწმობით პარტიიდან გარბიან მუშე-
ბი და გლეხები, ხოლო პარტიას, თუ ვინმე
ემატება, ემატება წყრილი ბურჟუაზიული და
სხვა წრეები.

ასეთია რუსეთის კომუნისტური პარტია!

რაც შეეხება საქართველოს, აქ ზომ კომუნის-
ტურ პარტიაში თავი მოიყარა რუსის ძველმა
ჩინოვნიკობამ, სომხის ნაციონალისტებმა, სხვა
და სხვა ჯურის ნაძირალებმა და სისხლის სა-
მართლის გამირებმა. ძველი, იდეური, კამუ-
ნისტი აქ უფრო ძნელი მოსანახავია, ვინემ რუ-
სეთში.

X.



ადამიანის უფლებათა ლიგის ბ-ნ პრეზიდენტს!

ბ-ნო პრეზიდენტო!

როცა საქართველოს ტერიტორიას საბჭოთა ჯარები შემოესია—ადამიანის უფლებათა ლიგამ დაუყენებლივ აღიმაღლა ხმა ამ აქტის გამომოსკოვის დამპყრობელთა წინააღმდეგ პრეტესტის გამოსაცხადებლათ; როცა შემდეგ საქართველოს ხალხი, თავდამსხმელთა უღელ ქვეშ მოქცეული, მწარეთ გმინავდა ნისი სიმძიმისგან, ლიგის ბიულეტენის ფურცლებზე ჩვენ არა ერთხელ ამოგვიკითხავს მუქერმეტყველური სიტყვები, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ ლიგის სრულიადაც არ აქვს სურვილი გულ-გრილი მაყურებელი იყოს იმის, თუ როგორ აღრჩობს პატარა ერს დიდი მეზობელი.

დამე დარწმუნებული ვარ, რომ ლიგა, როგორც გამომხატველი საფრანგეთის დემოკრატიის მისწრაფების, უარს არ იტყვის მხარი დაუჭიროს პატარა საქართველოს ხალხს სწორეთ მაშინ, როცა მისი საკითხი შედის გადაჭრის ფაზაში.

თქვენ კარგათ მოგესხენებათ, რომ ახლო მომავალში იკრიბება საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც უნდა გაარკვიოს ქვეყნებ შორის კომერციულ ურთიერთობის განახლები-სა და ევროპის ეკონომიურათ აღდგენის საკითხი.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა, რომლის ჯარებს დაკავებული აქვს დღეს საქართველო, მოწვეულ იქნა ამ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ და უმადლესმა საბჭომ, კანაში შეკრებლმა, გარკვეულათ შემოხაზა პირობები ამ მთავრობის ოფიციალურათ ცნობის.

მე-ნ მუხლი ამ პირობისა, უთითებს რუსეთის დემოკრატიულთაზე თავი შეიკავოს მეზობელ სახელმწიფოების მიმართ ცოვლივე აგრესიული ნაბიჯისაგან.

გამოუწმობელი იქნება ეს პირობა საქართველოს მიმართ?

აიძულდენ ჩვენი ქვეყნის დამპყრობთ გაიყვანონ საქართველოდან თავის ჯარები და ასე საშვალება მისცენ ჩვენს ხალხს თვით განაგოს თავის ბედი?

აი ეს არის საკითხი, საერთაშორისო შეგნების, რადგან მხოლოდ ხალხთა შეგნებას შეუ-

ძლია გადასჭრას, დასაშვებია თუ არა განათლებულ კაცობრიობისთვის იარაღით ხელში შელახვა ადამიანის და ერის უფლებების!

თქვენ გეცოდინებათ დღევანდელი მდგომარეობა საქართველოსი, ხალხის დამოუკიდებლობა ფაქტიურათ მოსპობილია, დამუშენებელი კრება და ადგილობრივი თვითმართველობანი გაჩეკილია, პოლიტიკური თავისუფლება გაუქმებულია, სატუსალოები კი სასვია—საუკეთესო მოქალაქეებით, განსაკუთრებით სოციალისტებით; მუშები და გლეხები კატორღულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივებული; ეკონომიური ცხოვრება მოშლილია ერთი სიტყვით აი ასეთია საშინელება ბარბაროსული დესპოტიზმის და შიმშილობის ჩვენს ქვეყანაში.

აი ასეთია შედეგი რუსეთის ოკუპაციისა საქართველოში.

და ეს ტანჯვა, რომელსაც განიცდის ჩვენი ხალხი შემოსეულ ოკუპანტებისაგან, განა შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობის დროს უსურადებოთ იქნეს დატოვებული იმათგან ვინც მოწადინებულია უფლებების საფუძველზე დაამკაროს საერთაშორისო ურთიერთობა.

ჩვენ გვინდა, ჩვენ ვთხოვლობთ, რომ საქართველოდან რუსის ჯარების გაყვანა წამოწყებული იქნეს ევროპის მთავრობების მიერ, როგორც წინასწარი პირობა მოსკოვის მთავრობის ცნობის.


და ჩვენ გთხოვთ, ბ-ნო პრეზიდენტო, რომ ადამიანის უფლებათა ლიგის მთელი ავტორიტეტი და მორალური ძალა მოახმაროთ საქართველოს სამართლიან მოთხოვნილების დაცვას.

მიიღეთ, ბ-ნო პრეზიდენტო ჩემი უღრმესი პატივისცემა.

ნ. უორდანი.

უძაღლეს საბჭოს!

ამა წლის 5 იანვარს კავკასიის ერების სახელით აზერბეიჯანის, შთის, სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლებმა მიმართეს კანონის კონფერენციის თავმჯდომარეს ნოტიო და სთხოვეს—მაშინ, როდესაც დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლნი იკრიბებიან ევროპის ეკონომიურათ აღდგენის პრობლემის განსახილველათ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არ დასტოვებენ კავკასიის საკითხს, ვინაიდან იგი წარმოადგენს დიდს საიმპორტო ბაზარს ცოვე-



ლგვარ ნაწარმებისთვის, სატრანზიტო გზას ევროპასა და აზიას შორის და მანდულობით მდიდარ ქვეყანას. მართალია კავკასია ამ ქამათ უკავია ბოლშევიკების საოკუპაციო ჯარებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება კავკასიის ერების ბედი დაუკავშიროთ რუსეთის ბედს და მის ეკონომიურ მომავალს.

ავტორები ამას ასაბუთებენ შემდეგი მოსაზრებით:

1. კავკასიის ერებს შეუძლიათ მთელი თავის შემოქმედებით ენერჯია გამოიყენონ აღდგენის საქმეში, მხოლოდ მაშინ, თუ მათი სამართლიანი უფლებები აღდგენილ იქნება ე. ი. თუ ნორმალური და დემოკრატიული წესი კვლავ დამყარდა კავკასიის რესპუბლიკებში, რომელიც არსებობდა ამ ქვეყნებში რუსის ბოლშევიკურ და, ნაწილობრივ, ოსმალეთის ჯარების შემოსევამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, აჯანყებები და ომები, რომელიც მოჰყვება, როგორც შედეგი ამის უარყოფის, იქნება დაუბოლოებელი და მხოლოდ ამ ქვეყნის დანგრევას უფრო შეუწყობს ხელს.

2. ნორმალურ წესის დამყარება კავკასიაში ადვილია და შესაძლებელია: ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის მოჰყვება დაუყოვნებლივ რუსის ბოლშევიკურ ჯარების გაქვანას, რომელიც ერთად-ერთი დამცველი არიან ბოლშევიკურ წესწყობილების. ამ რეჟიმს არავითარი ნიადაგი არ აქვს კავკასიის ერებში. ეს რეჟიმი მიუღებელია ხალხისათვის, რომელიც უმთავრესად პატარა მემამულეებისაგან შედგება. რაც შეეხება მუშებს, ისინიც წინააღმდეგნი არიან ამ რეჟიმის, ვინაიდან ისინი ამ წესწყობილებაში ერთგულ დაჩაგვრის იარაღს ხედავენ. ცხადი თუ დადარული წინააღმდეგობა, რომლითაც კავკასიელები სისტემატიურად უპასუხებენ ამ რეჟიმს, არის მკერმეტყველური საბუთი ამისა.

3. ერთ ეკონომიურ ერთეულის შექმნა კავკასიაში უდარ უნდა იყოს მრავალ მოსაზრებით, რომელიც ქვემოთა არის მოყვანილი:

- ა) კავკასია წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს, რომელიც განსხვავდება რუსეთისაგან ეკონომიურად და გეოგრაფიულად.
- ბ) კავკასიაში ცხოვრობენ საუკუნეებით აღიღობრივი ხალხები: სომხები, აზერბეიჯანე-

ლები, ჩერქეზები და ქართველები, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ სლავიანურ რასასთან, არც ენით, არც წინეჩეულებით და არც ტრადიციით.

გ) გეოგრაფიული, ეტნოგრაფიული და ეკონომიური სხვადასხვაობა ისე ღიღია, რომ თვით ძველი რუსეთი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამისათვის და მიუხედავად ცენტრალისტურ პრინციპებისა, მან დაარსა მეფის მოადგილეობა კავკასიაში, რაც ერთად-ერთ გამოწვევას შეადგენდა მთელ იმპერიაში.

დ) რევოლუციურმა მოძრაობამ მიიღო კავკასიაში სულ სხვა მიმდინარეობა, ვიდრე რუსეთში. მაშინ როდესაც რუსეთში სუფევს სემოქალაქო ომი, რომელმაც შედეგათ მოიტანა ბოლშევიკური დიქტატურა და ტერორი, კავკასიის ერებმა ისარგებლეს მოპოვებულ თავისუფლებით და დაამყარეს დემოკრატიული რეჟიმი, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ადამიანის და მოქალაქის უფლებებს. ეს რაქტი, რომელსაც მთელი კაცობრიობა აღიარებს, ამტკიცებს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს კავკასიელებსა და რუსებს შორის, აზროვნების და ტემპერამენტის მხრივ.

ე) კავკასია არც ევროპაში და არც აზიაში არ უღობავს სავაჭრო გზას რუსეთს. რუსეთს შეუძლია, ისე როგორც სხვა ქვეყნებს ისარგებლონ ტრანზიტის გზით კავკასიაში.

ვ) კავკასიის მრეწველობა, რამდენადაც ასეთი არსებობდა ჩვენში, ეკუთვნოდა არა რუსეთს, არამედ უცხოელებს, 85% კაპიტალისა, თუ არა მეტი, რომელიც სჭირდებოდა ნავთის, სპილენძის, შავი-ქვის, ქვა-ნახშირის წარმოებას. და ადგილობრივ ხალხის ე. ი. სომხების, აზერბეიჯანის, ჩერქეზების და ქართველების კაპიტალს, რაც რასაკვირველია, რუსის კაპიტალად ვერ ჩაითვლება.

ზ) ის მოსაზრება, რომ რუსეთს სჭირია კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრე არ ამაართლებს ზის პოლიტიკურ ბატონობას კავკასიის ერებზე. მისი საჭიროება შეიძლება დაკმალოფილებულ იქნას საერთაშორისო მორიგებით, ისე როგორც მხედველობაში მიღებული იყო იმ მოხსენებაში, რომელიც ჩვენ წარუდგინეთ დიდ სახელმწიფოებს 10 ივნისს 1921 წ.

4. დიდ სახელმწიფოთა სურვილი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებისა ეთანხმება ადგილ-



ბრივ ერების სურვილს, რომლებსაც აუცილებლათ მიაჩნია დასავლეთ ქვეყნების მრეწველობისა და კაპიტალისათვის კარები ფართოთ იღოს გაღებული, რადგან ამ უკანასკნელის ცოდნა და გამოცდილება ჩვენთვის ასე საჭიროა. კაპიტალის თანამშრომლობა უზრუნველყოფილია თანახმად იმ პრინციპებისა, რომელნიც ეხებიან სამრეწველო და კერძო საკუთრებას და მიღებული არიან ყველა განათლებულ ქვეყნებში, რომ უცხოელთა და მოქალაქეთა უფლებები თანასწორათ იქნებიან უზრუნველყოფილი.

5. ვინაიდან კავკასიაში მოსკოვის დამლუპველი რეჟიმი გვიან შემოვიდა, ის შედარებით ნაკლებ არის აზრებულნი და მოშლილი, ვიდრე რუსეთი, მას უფრო ადრე შეუძლია ჩადგეს ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრების კალაპოტში.

მან დღემდე შეინარჩუნა ზოგიერთი წყარო და ტექნიკური საშვალეა სწრაფი აღდგენისათვის: ტრანსპორტი (რკინის-გზა), ნავთსადენი, პორტები. (უკვე ეს დამამტკიცებელი საბუთი ამის არის ის, რომ მარტო ბათუმის პორტთან შეაქვთ და გამოაქვთ ახლა უფრო მეტი საქონელი, ვიდრე სხვა რუსის პორტებს, შავ-ზღვაში ერთად აღებულს).

6. თავიანთ ინტერესების სოლიდარულათ დასაცველათ და საერთო ბუნებრივი სიმდიდრით სარგებლობისთვის, ჩვენმა ოთხმა სახელმწიფომ შევეკარით კავშირი ერთმანეთ შორის. ეს აქტი მიღებული პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსიური და საბაჟო საკითხები ყურადღებით განხილვის შემდეგ, აერთებს ჩვენს მხარეს, განსაკუთრებით თავისუფალ ტრანზიტის უფლების დაარსებით, და აძლევს გარანტიას და დამოუკიდებელ კავკასიას იმ მთლიანობას, რომელიც მისთვის ბუნებრივთ მინიჭებულია გეოგრაფიულ მდებარეობით, შავსა და კასპიის ზღვებს შუა მნიშვნელოვანი მსოფლიო სავაჭრო გზები იცრიან თავს.

ვიღებთ რა მხედველობაში ზემოთ ხსენებულს, გვაქვს პატივი მოვთხოვოთ უმაღლეს საბჭოს:

1. შეიტანოს კავკასიის რესპუბლიკები: სომხეთი, აზერბეიჯანი, ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო, ევროპის ეკონომიურ აღდგენის სისტემაში, როგორც ერთი ეკონომიური ერთეული, რომელიც სრულიად განსხვავდება რუსეთისგან.

2. დაადგინონ, რომ კავკასიის რესპუბლიკების დაშვების პირობების განხილვის დროს დამის მონაწილეობაზე ევროპის ეკონომიურ აღდგენის საკითხში, ჩვენ მიგვიწვიონ და მოგვისმინონ როგორც კანონიერი წარმომადგენლები ამა რესპუბლიკების.

მიიღეთ, ბ-ნო თავმჯდომარე. . .
ავარონიანი, თოფჩიბაშევი, ჩერმოვევი, ჩხენკელი.

პარიზი 1922 წ. 5 იანვ.

**საპროტესტო ნოტა
 კონცესიების გაცემის და ფედერაციის
 შემოღების კავკასიაში.**

უმაღლეს საბჭოს ქ. კანში კავკასიის 4 რესპუბლიკის წარმომადგენლებმა წარუდგინეს 4 იანვარს შემდეგი ნოტა:

10 ივნისის 1921 წლის ხელშეკრულებაში, რომელიც კავკასიის რესპუბლიკების: სომხეთის, აზერბეიჯანის, ჩრდილოეთ-კავკასიის და საქართველოს წარმომადგენლებმა გადასცეს თავის დროზე მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებს, კატეგორიულად იყო აღნიშნული, რომ არც ერთ კონცესიას, ან უპირატესობა, რომელიც ვისმესთვის გაცემულ ანდა მინიჭებულ იქნება იმ მთავრობების, ჯგუფების და ორგანიზაციების მიერ, რომელნიც არ არიან წარმომადგენლები ამ რესპუბლიკების ერთა სურვილის თანახმად, მოკლებულ იქნება ცოველგვარ კანონიერებას და აღიარებული იქნება, როგორც არ არსებული.

იმ ცნობებიდან, რომლებიც ჩვენ მივიღეთ და რომელნიც ერთმანეთს ეთანხმებიან, სჩანს, რომ არსებობს მოლაპარაკება, რომელსაც შეეხება კონცესიები და დამუშავება კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებას, როგორცაა მადნეულობა და სხვა. ეს მოლაპარაკება სწარმოებს ზოგიერთ კერძო პირთა, ჯგუფთა და საბჭოთა მთავრობებს შორის, თუმცა ამ უკანასკნელთ არავითარი უფლება არა აქვთ ამ ქვეყნის სიმდიდრე განაგონ.

მეორე მხრივ, დაწყებული იმ დღიდან, როდესაც ბოლშევიკებმა კავკასია აიკლეს და თავს მოახვიეს თავიანთი უღლეური წესწობილება, მოსკოვის აგენტებმა მთელი თავის ძალა მობარეს კავკასიის რესპუბლიკების ბუნებრივ

სიმდიდრის გაძარცვას და მიუხედავად ერების მუდმივ წინააღმდეგობისა, აზრჩობენ მათ თავისუფლებას.

«რუსეთის კომ. პარტიის» კავებურო თავის უკანასკნელ დადგენილებით, ცდილობს ბოლო მოუღოს კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებელი არსებობას და დაარსოს მათ მაგიერ ვერად წოდებული «კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა», რაც ნამდვილათ, იქნება ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის გაუქმება.

ვინაიდან ზემო ხსენებული რაქტები ეწინააღმდეგებიან დეკლარაციის აზრსა და სიტყვას და აგრეთვე იმ უფლებებს, რომლებიც აღიარეს კავკასიის რესპუბლიკების კანონიერ მთავრობების სასარგებლოთ, როგორც მოკავშირე სახელმწიფოებმა, ისე მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ, კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებს პატივი აქვთ აცნობონ უმაღლეს საბჭოს, რომ იმათ ეს ხელშეკრულებები დაიპირიგებები მიაჩნიათ ცოველგვარ კანონიერ დირებულებას მოკლებულათ და არ არსებულათ. კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენლები, აცხადებენ რა პროტესტს ამ უკინონო მოლაპარაკებათა წინააღმდეგ, საჭიროთ სთვლიან აღნიშნონ, რომ ისინი არამც თუ ეწინააღმდეგებიან უცხო კაპიტალის შემოსვლას კავკასიაში, არამედ ამ კაპიტალის დახმარებაში ხელდაცნ ხსნას კავკასიის რესპუბლიკებისას. ღრმად დარწმუნებულნი, რომ ის აუარებელი შესაძლებლობა რომელსაც იძლევა კავკასია, არის მტკიცე გარანტია მისი პოლიტიკურათ და ეკონომიურათ სწრაფი აღდგენისა, ისინი (კავ. წარ.) მოითხოვენ ფართ თანამშრომლობას დასავლეთის დინანსიურ და სამრეწველო ჯგუფისას. ისინი (კავ. წარ.) იმედოვნებენ, რომ მოკავშირე სახელმწიფოები არ დაიშურებენ დახმარების აღმოჩენას კავკასიის ერებისადმი მათ ასალარძინებლათ და ამ მიზნით დამოუკიდებულებას დაიჭერენ მათ კანონიერ წარმომადგენლებთან.

მიიღეთ, ბატონო პრეზიდენტო . . .

ხელმომწერენ: ა. აგარონიანი—სომხეთის რესპ. დელეგ. თავმჯ. ა. მ. თოფჩიბაშევი—აზერბეიჯანის რესპ. დელ. თავმ. ა. მ. ჩერმოვი—არდილოეთ კავკასიის რესპ. დელ. თავმ. ა. ჩვენკელი—საქართველოს ელჩი.

შვიმცარი ჩვენ შესახებ.

შვეიცარიის განთი «ეურ. ენევა» 17 დეკემბრის მოწინავე წერილში სწერს:

გასულ ივნისის თვეში ერთა ლიგის საზოგადოებამ, რომელსაც საზოგადო სხდომა ქონდა ენევაში, შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

«იმ უბედურ მდგომარეობის გამო, რომელშიც იმყოფება საქართველო და მისი დემოკრატიული ერი, რომელიც მისი მოქალაქეთა სურვილის წინააღმდეგ უცხო არმიის მიერაა აწიოკებული და რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაკარგა, კონგრესი აცხადებს თავის აღშრომებას და დაქინებით მოითხოვს ერთა ლიგის კრებისა და საბჭოსაგან მიიღონ ზომები, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპი საქართველოზე იყო განხორციელებული.»

ეს რეზოლიუცია სურვილათ დარჩა, ვინაიდან ერთა ლიგას არ ეავს ჯარი ბოლშევიკების წინააღმდეგ გასალაშქრებლად და ამ უკანასკნელებსაც გადაწყვეტილი აქვთ არ გაუშვან ხელიდან ეს მშვენიერი მსხვერპლი, როგორიც არის საქართველო.

უკანასკნელ თვეებში მეორე ინტერნაციონალმა ხელთ აიღო დაჩაგრულ საქართველოს დაცვა მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ. მისმა აღმასრულებელ კომიტეტმა უწინარეს ცოვლისა წინადადება მისცა ქართველ კომუნისტურ პარტიას, რომელიც რუსის ხიშტების წყალობით გადატონებულია თფილისში შერეულ კომისიის კონტროლს ქვეშ მომხდარიცო თავისუფალი შვეითება ხალხის—თუ რომელი წესწყობილება სურს მას. ტროცკის მოწადებმა ურცხვად განაცხადეს უარი, რომელსაც მოჰყვა ბრიუსელის სოციალისტურ კომისიის პასუხი. იგი საჯაროდ აღნიშნავს, რომ, როდესაც მოსკოვის მთავრობა მოითხოვს სხვა სახელმწიფოების მიერ ცნობას, მან უნდა აგრევე პატივი სცეს სხვა ერთა უფლებებს და არ შეურაცხოს ის ელემენტარული პრინციპები, რომლებიც განათლებულ ერთა საზოგადოებას საფუძვლად უდევს, თუ რომ მას უნდა, რომ მის უფლებასაც პატივისცემით ეპყრობოდენ. მეორე ინტერნაციონალი დაქინებით მოითხოვს რუსეთის მთავრობისგან საქართველოდან ჯარის გაღვანას.

შემდეგ განთი დაწვრილებით მოგვიხორბს

თფილისის მუშების დღეგაცის დაჭერის ისტორიას და სწერს:

მეტეხის ციხის საპრობილედან მუშათა დღეგაცამ მიმართა მოწოდებით მთელს კაცობრიობას და მოითხოვს: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, ქართულ ენის დაცვას, რუსის ჯარების გაყვანას, ქართულ ჯარის ხელაწალა შედგენას, ადგილობრივ მუშების საზღვარ-გარეთ გადასახლების შეჩერებას, სოფლიდან ეგზეკუციების მოხსნას და პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებას.

ცხადია, მოსკოვის მტარვალები ყურს არ ათხოვენ ამ მოთხოვნილებებს. პირიქით, საქართველოს, აწერბეიჯანსა და სომხეთს გაბატონებულნი, ისინი უკვე ფიქრობენ, როგორც შმა დადის, გააერთიანონ ამ სამ სახელმწიფოთა მართვა. ე. ი. უფრო მძიმე უღელი დაადგან ამ ერებს. უკვე ბაქოს დიდი მრეწველობა საბჭოთა რწმუნებულის ხელშია. (მართველობის გაერთიანების პროექტს), შეიძლება მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდეს და ერთი შედეგი მოჰყვეს: ეს სამი ქვეყანა რუსეთის უფრო სრულ დამოკიდებულებაში მოიყვანოს.

როგორ უნდა შეხედონ განათლებული სახელმწიფოთა მთავრობანი იმ შეურაცხყოფას, რომელსაც ბოლშევიკები ერთა თვითგამორკვევის უფლებას აცენებენ?

მთავრობათა თავმჯდომარეებს და საგარეო საქმეთა მინისტრებს ექნებათ ამაზე მსჯდლობა ლონდონში. არ შეგიძლია ეჭვი ვიქონიოთ პასუხზე, რომელსაც ისინი გასცემენ. საბჭოთა მთავრობის ცნობა, რადგანაც ქვეყნის გაძარცვის შემდეგ ის კაპიტალიზმს უბრუნდება და ძველ რეჟიმის ვალებს ცნობილობს, იქნება უდიდესი შელახვა დღევანდელ საერთაშორისო სამართლიანობის პრინციპებისა.

პატარა დაჩაგრული ერთი თავისუფლებას თხოულობს. საუკუნეთა განმავლობაში მან იბრძოლა, რომ ეს შეენარჩუნა. როდესაც მას თავს დაესხნენ დიდ იმპერიის სამხედრო ძალები, ის იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. მაგრამ ის მაინც განაგრძობს ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. მაგრამ დიდი და პატარა სახელმწიფოები, რომელთაც არ ესმით მისი მკერ-მეტყველი შმა, ნუ თუ მას მოსკოვის მტარვალებს ჩაუგდებენ ხელში და საბჭოთა მთავრობის ცნობით, ბოლშევიკურ მთავრობას ამით ხელბრძვილანმარებასაც გაუწევენ?

ჩვენ ამას ვერ დავიჯერებთ. ბოლშევიკები ყოველ შემთხვევაში შევიცარია ამ უსამართლობას არ ჩაიდენს. ეს თავისუფლების ქვეყანა ვერ დაიფრუებს სურებს საქართველოს ერის ხმაზე, რომელსაც თავისუფლება სურს და საჯაროთ აცხადებს პროტესტს უცხო ჯარების შემოსევის გამო. შევიცარიამ დადებითი პასუხი მისცა 1920 წლის დეკემბერში, საქართველოს თხოვნაზე, როდესაც მისი ერთა ლიგაში მიღება შესაძლებელი იყო.

ჩვენი მთავრობა გზას არ აუხვევს ამ კეთილშობილურ პროგრამას. და ჩვენი ქვეყანა, რომელმაც ექვსი საუკუნეა თავი გაინთავისუფლა სხვისი ბატონობისაგან, არ შეგვარცხვენს და არ იცნობს დაქტიურად ან და იურიდიულად მტარვალობის და ტერორის რეჟიმს, რომელსაც წარმოადგენენ საბჭოთა მთავრობები რუსეთისა, საქართველოსი და აწერბეიჯანისა.

იგივე გიწეთი კავკასიის ფედერაციის შესახებ სწერს:

ბოლშევიკების მიერ გაფრცელებული ცნობა, ვითომდა მათადაერსებოთ კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც შეიცავს სასომხეთის, საქართველოს და აწერბეიჯანს და დედა ქალაქით თფილისი იქნება, სიმართლეს მოკლებულია.

ნამდვილათ იქ ხდება კავკასიის ძველი მართველობის ხელაწალა აღდგენა, რომელიც მეფის რეჟიმის დროს არსებობდა, მხოლოდ ახალ ფორმით მოსკოვის მეთაურობით. «კაბეიურა» ნიშნავს და სამსახურიდან აცენებს სასომხეთის, აწერბეიჯანის და საქართველოს ყველა «სახალხო კომისრებს» ისე, როგორც ძველად მეფეების დროს იყო. იგი თავის ნებით კავკასიის ერთა საზღვრებს სცვლის, ქვეყნის აწიოკების განკარგულებას ახდენს და ამიერ-კავკასიის საგარეო პოლიტიკას მართავს. მაგალითათ მან დაუთმო ოსმალებს მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერ-კავკასიისა.

ეს ახალი ქმნილება სრულიად არ განსხვავდება იმ ქმნილებისაგან, რომელსაც ბოლშევიკებმა უწოდეს: «საქართველოს საბჭოთა დამოუკიდებელი და თავისუფალი რესპუბლიკა», რომელიც ნამდვილათ კი მოსკოვის სამხედრო დიქტატურის ქვეშ იყო.

ფედერაციული რესპუბლიკის დაარსების სურვილი ბოლშევიკებში გამოწვეულია იმ მდგო-

მარეობის გამო, რომ უკანასკნელათ ქართველ, სომეხსა და აზერბეიჯანის ერებში თანდათან ძლიერდება უცხო ძალის ბატონობის შეერთებული ძალებით თავიდან მოშორების აზრი.

საქართველოს საკითხი საზრანგეთის დეკუტატთა პალატაში.

ახალი მთავრობის თავმჯდომარის პუანკარის დეკლარაციის განხილვის დროს საფრანგეთის დეკუტატთა პალატაში, ილაპარაკა აგრეთვე დეკუტატმა კომუნისტმა მარსელ კაშენმა. ჩვეულებრივსაშუაზრანგეთის მთავრობას და სთქვა: რუსეთის ხალხს უფლება აქვს იყლიოს ისეთი მთავრობა, როგორც მას სურსო. ამ დროს დეკუტატმა სოციალისტმა ობრიომ ადგილიდან შენიშნა—დეე, მოსკოვის მთავრობამ ეს უფლება აღიაროს საქართველოს შესახებაც და გაიყვანოს საქართველოდან თავისი ჯარებიო. კაშენმა ამ შენიშვნას განზრახ აუარა გვერდი და არ გასცა ერთი სიტყვითაც პასუხი; მაგრამ როცა მან სთქა, რომ მოსკოვის მთავრობა მონაწილეობას მიიღებს გენუის კონფერენციაშიო, ობრიომ ხელმეორეთ მისცა შემდეგი შენიშვნა: ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მოსკოვის მთავრობა ჯერ სანამ გენუის კონფერენციაზე გაგზავნის თავის წარმომადგენლებს, მანამ იგი განათავისუფლებს საქართველოს რუსის ჯარებისგან და მით დაუბრუნებს ქართველ ხალხს თავისუფლებას.

გერმანიის დამოუკიდებ. სოციალ.

საქართველოს შესახებ.

გერმანიის დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების კონგრესზე, რომელიც ამა წლის იანვარში მოხდა, საქართველოს შესახებ ერთსულოვნათ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

საქართველოს რესპუბლიკას, რომელიც გლეხების და მუშების სოციალ.-დემოკრატიულ რეჟიმის ქვეშ ცდილობდა მოემზადებინა სოციალისმის განახორციელებლათ მარქსიზმის კონცეპციების თანახმათ, და შემოესია წინასწარ ომის გამოუცხადებლათ რუსეთის საბჭოთა მთავრობის წითელი ჯარები, და დღესაც ამ წითელი ჯარის და ჩეკას უსაშინლეს საშხედრო ტერორის ქვეშ იმყოფება. ცეცლა მუშათა ორგანიზაციები დანგრეულია. ყოველგვარი რევოლიუციის მონაპოვარი განადგურებულია,

საუკეთესო ამხანაგები, ძველი რევოლუციონერები და ცნობილი მებრძოლი ცარიზმის წინააღმდეგ, ციხეებში არიან დამწყვდეული. ზოგი მათგანი გარდაიცვალა აუტანელი მოპყრობის გამო, ბევრი კი გადასახლებული არიან თურქესტანსა და საბჭოთა რუსეთის სხვა შორეულ კუთხეებში.

კონგრესი, თანახმათ სოციალისტურ პარტიების ინტერნაციონალ კავშირისა, უნერგიულ პროტესტს აცხადებს ძალმომრეობის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელსაც სურს სოციალისტურ სამოსელში გაეხვიოს. ის მოითხოვს დაუტოვებლივ წითელი ჯარის საქართველოდან გაგვანას, გადასახლებულ სოციალისტებს დაბრუნებას, პოლიტიკურ ტუსალების დაუტოვებლივ განთავისუფლებას და საქართველოს აღდგენას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, თანახმათ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა.

საქართველოს საბჭოთა არჩევნები და სოციალისტური პრესა.


საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, გერმანიის, ისპანიის, ჩეხო-სლოვაკიის და პოლონეთის სოციალისტურმა გაზეთებმა დაბეჭდეს საქ. სოც.-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება, რომელიც საბჭოთა არჩევნებს ეხება. გაზეთები მას წერილებს უძღვნიან და აღნიშნავენ, თუ რას წარმოადგენს საერთოთ ბოლშევიკური საბჭოთა არჩევნები, სადაც არ არის დაცული არჩევნების ელემენტარული წესი და სადაც ჩეკისტები განაგებენ ყველაფერს.

ფრანგულმა გაზეთმა «სოც. ცხოვრებამ» სავსებით გადაბეჭდა «თავ. საქართველოს» მიერ გამოცემული წიგნაკი «ბოლშევიკების ახალი დანაშაულობა საქართველოში». ამავე ნომერში რედაქციამ მოათავსა აგრეთვე ბოლშევიკების მოწოდება «მუშათა ერთი მთლიანი ფრონტის შექმნის» შესახებ და თან შენიშნა: თუ რამდენათ გულწრფელი არიან ბოლშევიკები თავისი მოწოდებით, ეს საქართველოს მაგალითიდან სჩანსო.

მივართვა საზრანგეთის სოციალისტური ახალგაზღვრებისადმი.

როგორც ვიცით საფრანგეთის სოციალისტური ახალგაზღვრების უკანასკნელი კონგრესი სა-





ქარ. ახალგაზნა მარქსისტთა წარმომადგენელ-ების განცხადებას თანაგრძნობით შეხვდა. ამის გამო ახალგაზნა მარქსისტთა ორგანიზაციამ საფრანგეთის სოციალისტურ ახალგაზნობას შემდეგი წერილი გაუგზავნა:

«ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს ახალგაზნა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის წევრებმა დამავალეს გაგიცხადეთ უღრმესი მადლობა ცველა ჩვენი ამხანაგების სახელით იმ გულითად სალამისთვის, რომელიც გვიძღვნა ჩვენ 29 ოქტომ. პარიზში მომხდარმა თქვენმა კონგრესმა.

ბევრი ჩვენგანი იმსხვერპლა ქართველი ერის დამოუკიდებლობის და თავისუფლებისთვის ბრძოლამ. ეს არათანასწორი ბრძოლა დღესაც გრძელდება. მარა შეგნება იმისი, რომ თქვენ ჩვენთან ხართ და განათლებული კაცობრიობაც ზნეობრივად ჩვენ მხარს გვიჭერს, ჩვენთვის დიდ დახმარებას წარმოადგენს და ბრძოლას გვიადვილებს.

საქართველომ თვის წარსულში ბევრი განსაცდელი გამოიარა: საშუალო საუკუნოებში— არაბთა და თურქთა ურდოების შემოსევა; 1795 წელს სპარსეთის შახის აღამაჰმადხანის მიერ საქართველოს დედაქალაქის თფილის აოხრება; რუსეთის ბატონობის ხანაში, 1905 წ. რევოლუციონური მოძრაობის დამარცხებას მოყვა საშინელი რეაქცია, რუსის მოხელეებმა და გენერლებმა ჩვენში გააძევეს თეთრი ტერორი, გადასწვეს სოფლები, ააოხრეს ქალაქები და ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილებით აავსეს ციხეები და ციმბირი. ერთი სიტყვით, ჩვენი ხალხი მიჩვეულია ცოველგვარ დესპოტიზმთან ბრძოლას.

მაგრამ ყველა ეს შედარებით აჩრდილია მასთან, რაც მოსკოვის წითელმა ჯარებმა ჩაიდინეს და ჩაიდან დღესაც ჩვენში.

მიუხედავად ამისა, დარწმუნებულნი ჩვენ მოთხოვნათა სამართლიანობაში, ჩვენ კიდევ უფრო მზნეთ განვაგრძობთ ბრძოლას და ღრმად გვწამს, რომ ქართველი ხალხი ამ უკანასკნელ ბრძოლაშიც გამარჯვებული გამოვა, რომ იგი დაიბრუნებს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რისი სრული უფლებაც მას აქვს.

მიიღეთ ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი სოციალისტური სალამი!

საქარ. ახალგაზნა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტ. კომიტ. დავალებით **ზ. ინწკირველი.**

კაუცკის წიგნი. შიგლიმოთქმა

კარლ კაუცკის წიგნი საქართველოს შესახებ გერმანულიდან ბოლგარულ ენაზე გადათარგმნა ამხ. საკაზოვმა, ხოლო მისი გამოცემა და გავრცელება ითვა თავის-თავზე ბოლგარიის სოც.დემ. პარტიამ.

კაუცკის პასუხი.

ბერლინის ჟურნალის «რუს. კორესპ.» უკანასკნელ ნომერში ბოლშევიკმა მეშჩერიაკოვმა მოათავსა წერილი, რომელიც ჩვეულებრივად სავსია ცილისწამებებით და ტყუილებით საქ. სოც.-დემოკრატიის მიმართ. იგი მიმართულია აგრეთვე კაუცკის წინააღმდეგ, რომლის წიგნმა «საქართველომ» დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. მოსკოვის იმპერიალისტების აგენტი მეშჩერიაკოვი ცდილობს ეს შთაბეჭდილება გაფანტოს, მაგრამ ამაოდ. კაუცკიმ მას ვრცელი პასუხი გასცა «სოციალისტში».

ბალკანეთის სოციალ. ჩვენ შესახებ.

უკანასკნელ დროს ბულგარიის, რუმინიის და სერბიის სოციალისტები დიდ ინტერესებს იჩენენ საქართველოს საკითხში. მათი პრესა დიდის გურადლებით ადვენებს თვალ-ყურს საქართველოში მომხდარ უკანასკნელ ამბებს და გმობს კრემლის თვითმპყრობელთა პოლიტიკას.

შ ვ ე ც ი ა შ ი .

შვეციის სოც.-დემოკრატიული პარტიის გაზეთში «სოც.-დემოკრატი» დაბეჭდილია საუბარი ნ. რამიშვილთან, რომელშიაც აღწერილია ის საშინელი მდგომარეობა, რომელსაც ქართველი ხალხი ბოლშევიკების ბატონობით განიცდის. თავის მხრით გაზეთი გამოსთქვამს მკაცრ გულისწყრომას მოსკოვის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ქართველ ხალხს ავიწროებენ.

მოსკოვი და საქართველო.

მაკდონალდის ჟურნალ «სოც. მიმოხილვა»-ში მოთავსებულია მ. ცხაკაიას წერილი და კ. ჩხეიძის პასუხი, რომელთაც წინ უძღვის წინასიტყვაობა თვით მაკდონალდის. კ. ჩხეიძის წერილი უკვე მოცვანილი გვაქვს მცირედი შემოკლებით ამავე ნომერში. ნომერი უკვე ნაწილობრივ დაბეჭდილი იყო, როცა მივიღეთ თვით ჟურნალი. მოგვყავს მაკდონალდის წინასიტყვაობა.

საქირო არაა დიდი ადგილის დათმობა რომ განუმარტო მკითხველებს საქართველოს მოსკოვის მიერ დაპყრობის მნიშვნელობა. ეს არის ერთი ისეთი მოქმედებათაგანი, რომელიც შეიძლება მკირედი მნიშვნელობისაა ქვეყნიერობისათვის, მაგრამ ნათლათ ასურათებს ნამდვილ აზრსა და შინაარსს იმ წლებილებისას, რომელსაც ისინი ეკრძნობიან.

ეგრ. წოდებულ ბოლშევიკების მთავრობის მტკიცების და პასუხის შედარებითი ღირებულება მათ ზედვე ეტყობათ. საქირო არ არის იმ მხარის ცოდნა და მისი წესწყობილების ადგილობრივ შესწავლა, რომ კაცმა გაიგოს პირველის სიყალბე და არაგულწრფელობა და მეორის სრული თანხმობა სინამდვილესთან. ევროპიელ სახელმწიფოების მოვალეობაა, როდესაც მოსკოვთან მოლაპარაკებას გამართავენ, მხედველობაში იქონიონ, რომ კავკასიის შევიწროვებულ მდგომარეობას აძლიერებს მოსკოვის შემოსევა ამ ქვეყანაში. ჩვენი მთავრობა არ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ ის არ მოთხოვს მოსკოვს კავკასიის ერების განთავისუფლებას წითელ ჯარებისაგან და ამას მოსკოვთან ხელშეკრულებაში არ შეიტანს.



რუს. ს.-რევ. და საქარ. საპიოხი

რუსეთის სოც.-რევ. პარტიის საზღვარგარეთელმა დელეგაციამ 1922 წ. 4 იანვრის სხდომაზე საქართველოს საპიოხის შესახებ ერთხმით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: «რუს. სოც.-რევ. პარტიის საზღვარგარეთელი დელეგაცია გაეცნო რა საქარ. სოც.-დემოკ. პარტიის ყველა ქვეყნის სოციალისტებისადმი მიმართვას რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის ჯარების მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ, დაადგინა, რომ იგი აცხადებს პროტესტს თავისუფალ საქართველოს ხალხზე მომხდარ ძალმომრეობის წინააღმდეგ და მხარს უჭერს საქარ. სოც.-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნილებას რუსის ჯარის გაყვანის შესახებ და აგრეთვე საქართველოს ბედის გადაჭრას ადგილობრივთა ხალხის დაკითხვის საშუალებით შერეული კომისიის კონტროლის ქვეშ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ქვეყნის სოციალისტების და კომუნისტების წარმომადგენელი.»



რუსი სოციალისტი დაპყრობილი საქართველოს შესახებ.

ქურნალ «სოციალისტურ ვესტნიკის» ამა წლის პირველ ნომერში რუსი სოციალ-დემოკრატი გადმოქვეცემს თავის შტაბეკდილებას, რომელიც მან მიიღო მოსკოვიდან კავკასიაში მგზავრობის დროს. როგორც წერილიდან სჩანს ავტორი რუსეთის საბჭოთა დაწესებულებაში მსახურებს და მისი მგზავრობაც სამსახურის გამო იყო გამოწვეული. მთელი მისი ნაამბობი მეტათ საეურადღებოა, მით უმეტეს საქართველოს შესახებ, ვინაიდან ავტორი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩავთვალოთ საქართველოს დამოუკიდებლობის თავიანთს მცემელათ.

«როგორც იყო, სწერს იგი, საქართველოს საზღვრებს მოვალწიეთ, აქაც კიდევ ერთხელ გაჩხრიკეს მგზავრები და ბოლოს ველირსეთ და მატარებელი დაიძრა საქართველოსკენ. რა დიდი განსხვავებაა! რამდენათ რუსეთსა და აზერბეიჯანში მთელი გზები დანგრეულია, სადგურები განადგურებულაია, იმდენათ საქართველოში ყველაფერი დატულია, არ დაკარგულა ლურსმანიც კი და ყველაფერი თავის ადგლზეა. იწყება მთაგრეხილები, რომელთაც მზის სხივები აფერადებენ. რამდენიმე სადგური გავიარეთ და მივედით თფილისში. გარეგნულათ თფილისი თითქმის არ გამოცვლილა: მალაჩიები დალებულია, იგივე ჭრელი სზოგადობა, ქუჩაში ხმაურობა და მტვერი. მაგრამ საკმარისია ორი-სამი დღე დავოთ, გულდასხმით დაუკვირდეთ ქალაქის ცხოვრებას და თქვენს წინაშე გადაიშლება მთელი ის საშინელება, რომელსაც განიცდის იგი და მასთან ერთათ მთელი საქართველო. ოკუპაციის ბეჭედი თითქმის ყველაფერს აწის. საქართველოში არ არის არავითარი კომუნისტური პარტია და წარმოდგინეთ ქართველების ისეთი საყურადღებო ჯგუფიც კი, რომელიც ბოლშევიკებს მხარს უჭერდეს. სამაგიეროთ საქართველოში არის «ოკა», ესე იგი კავკასიის განსაკუთრებული რუსის არმია, დამპყრობელი, რომელშიაც ვერ ნახავთ ვერც ერთ ქართველს, რომელიც ცოველ დღე თავისი ძალების დემონსტრაციას ადენს თფილისის ქუჩებზე, და რომელიც ახშობს და ტუქსავს ცოველ გვარ თავისუფალ აზრს, სიტყვას და საზოგადოებრივ მოძრაობას. საქართველოს



ოკუპაცია აქვს მომხდარი წითელი ჯარის მიერ და საკმარისია წავიდეს იქედან ეს არმია და სამი დღის შემდეგ თქვენ იქ ვერ ნახავთ დღევანდელი მთავრობის ნაკვალევსაც კი. მდივანისა და კომპანიისგან, რომლებიც ევრონობიან რუსის ხიშტებს, რომელთაც სამართლიანათ ხალხი უნდობლათ უტყერის, რომელთა შესახებ დაქინებით ლაპარაკობენ «წმინდათ» არ აქვთ ხელები—და რომელნიც ყურმოჭრილი ყმები არიან კავებუროსი, არ დარჩება არაფერი. თავსთავათ ცხადია, რომ ოკუპაცია და შეიარაღებული დამპყრობელის ჩეჟმა იწვევს მთელ საქართველოში აღშფოთებას და ნაციონალიზმს. და იწვევს არა მარტო უბრალო მოქალაქეთა შორის, არამედ პროლეტარულ და სოციალისტურ წრეებშიც.

ეკონომიური ცხოვრება ნელა, მაგრამ გადაჭრით კვდება. მრეწველობა უკვე გაქრა, ხოლო ვაჭრობა, რომელიც წინეთ ფართოთ იყო დაყენებული, სულს დაფავს. ამას რამდენიმეთ ხელი შეუწყვა «სანიტარულმა გადასახადმა,» ანუ უკვეთ რომ ვსთქვათ, ბოლშევიკურმა კონტრიბუციამ. ბოლშევიკებმა თითო გადამხდელს თითო მილიონი გააწერეს, თავისით არავინ არ შეიტანა, დაიჭირეს, შეიტანეს, ხოლო ვინც ვერ შეძლო სავსებით გადახდა, მათი ნაწილი გადახდილებზე გააწერეს ისევ და ხელმეორეთ დაატუსაღენ.

მე ჩემი თვალით ვნახე ერთი ნაწილი დაქვრივი ვაჭრების, რომლებიც ალცა შემორტყმული მიყავდათ ხმალ ამოღებულ ცხენოსან არმიელებს. ისინი დაიჭირენ მისთვის, რომ უარი განაცხადეს მეზუთეჯერ გადახდაზე. ცხადია, რომ ამგვარმა «სანიტარულმა გადასახადმა» სავსებით მოსპო სერიოზული ვაჭრობა და ესლა მხოლოდ წვრილი სავაჭროები და სამიკიტონოები დარჩენ. რასაკვირველია მთელი პლიტიკის ხელმძღვანელი კავკასიაში არის «მისი უმაღლესებულობის მოადგილე» რუს. კომპარტიის კავებურო, რომელსაც კონტაქტი აქვს ადგილობრივ ხელის უფლებასთან და რომელსაც ყოველთვის აძლევს ლოცვა-კურთხევას. ერთი სიტყვით მრეწველობა საქართველოშიაც ისე განადგურებულია, როგორც აზერბეიჯანში, ამიტომ აქაც და იქაც ბოლშევიკები შეუღვენ «ვარიაგების» მოკატიყებას. აზერბეიჯანში ნარიმანოვის შემდეგ, ამ საბჭოთა სოციალის-

ტურ რესპუბლიკაში, ცველაზე უფრო ნაკლებად ცემული მოქალაქეთ ითვლება ცნობილი ტალისტი მოხუცი ტაგიევი. იგი ცხოვრობს თავის აგარაკში და ნარიმანოვი მას ცოველ პარასკეობით უგზავნის საკუთარ ეტლს მეჩეთში წასასვლელათ. აგიევს უკვე დაუბრუნეს მთელი ქონება, სახლები, ქარხნები, საწყობები და სხვა. მართალია იგი მას საიჯარო სახით აქვს გადაცემული, მაგრამ იხდის უფრო ნაკლებ იჯარას, ვინემ ეს ჩვეულებრივი გადასახადით შეხვდებოდა. საქართველოში კი ბზიბის საუკეთესო ტენე კონცესიის სახით გადასცეს სტაჟევესა და კომპანიას, მაგრამ ჯერ იქ მუშაობა არ დაწყებულა და ალბათ არც დაიწყება. ამავე დროს ამბობენ კი, რომ საქართველოს ხელის უფლების დღევანდელმა წარმომადგენლებმა ამ კონცესიით პირადათ მოითბეს ხელიო.

ასეთია მოკლეთ დაპყრობილი საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა.»

ამას ამბობს უცხოელი, რომელმაც გავლით დაცო საქართველოში ორი-სამი დღე! მას რომ შეძლება ქონოდა და რამდენიმე თვეს დარჩენილიც იქ და გაცნობოდა დაწვრილებით და ახლოს ცველაფერს: ენახა რა ხდება რუსის ჯარის მიერ აოხრებულ საქართველოს სოფლებში, როგორ მართავენ მას ყაჩაღები, გაცნობოდა მშიერ-ტიტველი მუშებისა და მათი ოჯახების მდგომარეობას და ენახა საქართველოს ციხეები მოწინავე მუშებით, გლვხებით სოციალისტებითა და საზოგადო მოღვაწეებით ავსებული, მაშინ დაპყრობილ საქართველოს სურათს კიდევ უფრო სისწორითა და მთელი თავისი საშინელებით გადმოქცემდა.

მაგრამ მიუდგომელმა პირმა გავლით აწერიოთაც ბევრი ჭემმარტიება სთქვა.

პროტესტები ტერორის წინააღმდეგ.

რუსეთის სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელმა დელეგაციამ 5 იანვარს მოსკოვიდან მიიღო შემდეგი ცნობა: ბუტირკის ციხეში ღამ-წყვედულმა სოც.-დემოკრატებმა და პროფესიონალური მოძრაობის მოღვაწეებმა გამოაცხადეს შიმშილი. ამის მიზენი შეიქნა საბჭოთა მთავრობის განზრახვა გადასახლონ 35 პოლიტიკური ტუსალი თურქესტანის მხარეში, რომლე-



ბის ვითომცდა ერთმა ნაწილმა უნდა იცხოვროს იქ ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო მეორე ნაწილი მოთავსებული იქნება ციხეში. ვინაიდან ამის სისრულეში მოყვანა ნიშნავს სიკვდილით განაჩენის გამოტანას, ამიტომ ამხანაგებმა მიმართეს უკანასკნელ საშვალებას—შიმშილს. მათ გადასწყვიტეს არ დაიხიონ არაერთარი მსხვერპლის წინაშე და სთხოვენ საერთაშორისო პროლეტარიატს დაუჭირონ მათ მხარი ბოლშევიკური ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ ცნობას ეველა ქვეყნის სოციალისტები, მუშები და პრესა გამოეხმაურა. შინაგარს ლევიციკში გაიხსნა გერმანიის დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის კონგრესი. რუს. სოც.-დემ. პარტიის დელეგაციის წარმომადგენელმა ამხ. აბრამოვიჩმა პარტიეტაგს გააცნო საბჭოთა ციხეების საშინელება და მათში მოთავსებულ სოციალისტების მდგომარეობა, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი საპროტესტო რეზოლუცია:

«გერმანიის დამოუკიდებელ სოც.-დემოკრ. პარტიის პარტიეტაგი ღრმად აღშოშტებული მოსკოვის ბუტირკის ციხეში მომხდარ შიმშილით გაფიცვით, აცხადებს სასტიკ პროტესტს დატუსაღებულებისადმი არა ადამიანურათ მოპყრობისათვის და აგრეთვე მათი თურქესტანსა და რუსეთის სხვა შორეულ მხარეში გადასახლების გამო.»

პარტიეტაგი აღნიშნავს, რომ ასეთი სასტიკი მოპყრობა მიმართულია იმ სოციალისტებისადმი, რომელთა წინააღმდეგ თვით ბოლშევიკური მთავრობაც ვერ აყენებს ვერავითარ ბრალდებას, გარდა იმისა, რომ ისინი არიან მოწინააღმდეგენი კომუნისტური პარტიისა. ისინი მოთავსებული არიან ციხეში სასამართლოს განაჩენის გამოუტანლათ ჩეკის დადგენილებით, რომელთა შორის არიან ისეთები, რომლებიც 3 წელია სხედან ციხეში.

პარტიეტაგი კიცხავს და უარყოფს რა ტერორისტულ რეჟიმს, როგორც უარყოფელს სოციალიზმის მთავარ დებულებებისას, იგი ხაზს გასმით აღნიშნავს, რომ ტერორისტული ტაქტიკა ბოლშევიკური მთავრობისა, რომელიც მიმართულია სხვაგვარათ მოაზროვნე პროლეტარიატისა და სოციალისტების წინააღმდეგ, ართულებს ყველა ქვეყნებში პროლეტარიატის ბრძოლას კლასიურ იუსტიციის წინააღმდეგ.

პარტიეტაგი მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს ციხეებში მოთავსებულ ეველა ამხანაგებს და წინადადებას აძლევს პარტიის გამგეობას მიმართოს პირდაპირ საბჭოთა მთავრობას და გამოიყენოს ეველა შესაფერისი საშვალეები იმისათვის, რათა მოახდინოს გაგლეწა, რომ დაჩქარებით იქნენ განთავისუფლებულნი ეველა სოციალისტები რუსეთის ციხეებიდან და აგრეთვე ბოლშევიკური ჯარების მიერ დაპყრობილ საქართველოს ციხეებიდანაც».

მეორე დღეს თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ ჩვენ გადავეცით წერილი ბერლინში მყოფ საბჭოთა მისიას მოსკოვში გადასაგზავნათ, მაგრამ მან უკან დაგვიბრუნა პასუხით—ჩვენ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება არ ვართო. ასეთმა პასუხმა საშინელი აღშფოთება გამოიწვია პარტიეტაგის წევრებში.

ამის გამო დამოუკიდებელთა ორგანო «დრეიკიეტი» შენიშნავს: საბჭოთა მისიები დიდის სიამოვნებით იღებენ და გზავნიან მოსკოვში ლენინის გადასაცემათ კაპიტალისტური ჯგუფების განცხადებებს, მიუხედავთ იმისა, რომ ისინი «ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი» არ არიან!

მეუმრავლესე სოც.-დემ. ცენტრალური ორგანო «ფორვეტსი» აღწერს რა საბჭოთა ციხეებში გამეფებულ ჯოჯოხეთს, სხვათა შორის სწერს: «განა შეიძლება კომუნისტების მოწვევა მომავალ საერთაშორისო კონფერენციასზე მანამ, სანამ რუსეთში ასეთი საშინელება გრძელდება? და თუ მიიწვევენ, მაშინ კონფერენციასზე პირველ საკითხათ უნდა დაისვას რუსეთსა და საქართველოში სოც.-დემოკრატების დევნის საკითხი».

ბოლშევიკური ტერორის წინააღმდეგ წერილები მოათავსეს სხვა მრავალმა გაზეთებმაც, ეველა ქვეყნებში გაიშართა სოციალისტებისა და მუშების საპროტესტო მიტინგები, რომლებმაც საჯაროთ დაგმეს ბოლშევიკების მოქმედება რუსეთსა და საქართველოში და მოითხოვეს სოციალისტების განთავისუფლება.

პ. აქსელროდის პროტესტი.

ცნობილმა რუს. სოც.-დემოკ. აქსელროდმა შემდეგი წერილით მიმართა ბელგიის მუშებსა და მის ბელადს ვანდერველდეს: «ვაქცევ რა თქვენს ყურადღებას იმ მიმე აუტანელ მდგომარეობაზე, რომელსაც სოციალისტები განიც-

დიან საბჭოთა ციხეებში, მოვალეთ, ვსთვლი ჩემს თავს მოგმართოთ თხოვნით ბელგიელ ამხანაგებს, რომ თქვენ აიღოთ ამის გარშემო საერთაშორისო პროლეტარიატის ამოძრავების ინიციატივა. სოციალისტებისთვის უფრო სავალდებულოა, განაცხადონ პროტესტი ბარბაროსობისა და სისასტიკის წინააღმდეგ მაშინ, როცა ამას კომუნისტების სახელით სჩადიან, ვინემ რეაქციონერებისა».

აქსელროდის წერილის გამო ვანდერველდე სწერს: ევროპის სოციალისტებს არ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ბ-ნ კრასინისა და სკობოლევის პოლიტიკის სასურველათ დავივრგვინებას მაშინ, როცა მოსკოვის ციხეში ჯენი საუკეთესო ამხანაგები შიმშილობას აცხადებენ და იხოცებიან კომუნისტური «ზასტენკების» საშინელ პირობებშია.

დამხმარე კომიტეტი.

გასული წლის დეკემბერში პრაგაში მოხდა ჩეხო-სლოვაკიის ყველა სოციალისტური პარტიების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც განიხილა საბჭოთა ციხეებში დამწყვედელი სოციალისტების საკითხი. კრებას დაესწრენ აგრეთვე რუსეთის სოც.-რევოლიუციონერების და საქართველოს სოც.-დემოკრატიის წარმომადგენელნიც. დაადგინეს ფართოთ შეაგროვონ დაჭერილი ამხანაგებისთვის დახმარება და აწარმოვონ საპროტესტო კომპანია ბოლშევიკების ძალმომრეობის წინააღმდეგ. ამ მიზნით აირჩიეს «საბჭოთა ციხეებში დატუსაღებულ სოციალისტთა დამხმარე კომიტეტი». ინიციატორებს მიზნათ აქათ, მას მისცენ საერთაშორისო ფორმა და ხასიათი.

დანის განთავისუფლება.

შიმშილობითი გაფიცვისა და უცხოელი სოციალისტების პროტესტების შემდეგ ჩეკამ განთავისუფლა ბუტირკის ციხიდან სოც.-დემოკრატები, რომლებიც უნდა გადასახლდნენ შორეულ პროვინციებში, დანს კი მისცეს საზღვარ გარეთ წასვლის უფლება. იგი ბერლინში აპირებს ცხოვრებას.

შიმშილის სამაჟოჟი.

ჩვენმა მკითხველმა რამდენიმე იცის დამშეული რუსეთის ამბები, მისი საშინელი აუწყრელი მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შიმშილობა ჯერ ისტორიას არც კი ახსოვდეს. თვით ბოლშევიკები იძულებული არიან ამაზე საჯაროთ წერონ და ილაპარაკონ. ბოლშევიკური რადიო მთელქვეყანას აუწყებს: «გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, ხალხი მილიონობით წყდება, ხოლო მათი გაწეთები სწერენ: «დედები

შვილებს სჭამენ, მკვდრებს საფლავში აღარ აყენებენ და ადიმიანის მკამლობან ფართო ხასიათი მიიღოვ!» ამას ამბობენ ბოლშევიკები, რაღა იქნება სინამდვილეში, რა იხსნის მას ამ მდგომარეობიდან და სად არის მისთვის გამოსავალი, ამის თქმა ძნელია. უიმედობას შეუპყრია თვით ის ორგანიზაციები, რომელთაც თავს იდგეს დამშეული რუსეთის დახმარება.

25 იანვარს ქენევაში მოხდა დამშეულ რუსეთის დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ნანსენმა. იგი ძლიერ ახლოს დგას დამშეულთა დახმარების საქმესთან და მასთან ერთათ ეხლა დაბრუნდა რუსეთიდან, ამიტომ მისი მოხსენება მეტათ საყურადღებოა. ნანსენის სიტყვით შიმშილის რაიონი ვრცელდება მთელს ვოლგის მხარეში ურალამდის და იგი დღითი დღე იზრდება. დამშეულთა რიცხვი აღწევს 33 მილიონს, აქედან 19 შიმშილობს, ხოლო 15 მილიონი სასიკვდილოთ არის განწირული და მას ვერაგინ ვერ იხსნის. ამერიკელები აჭმევენ მხოლოდ ერთ მილიონ სულს, სხვა საზოგადო ორგანიზაციები 350 ათასს, ხოლო საბჭოთა მთავრობა, თუ კი ბოლშევიკურ ცნობებს დაეჯერება,—2.185,000 კაცს. ამგვართ დახმარებას იღებს მხოლოდ 3.330,000 სული, დანარჩენები კი უპატრონოთ არიან.


ნანსენის აზრით, დანარჩენთ რომ თავი დავანებოთ მარტო 7 მილ. ადამიანის გადასარჩენათ თებერვალში, მარტში და აპრილში საქირა 600 ათასი ტონი პური, ე. ი. დაახლოვებით 36 მილიონი ფუთი. ვინაიდან რუსერში გზები განადგურებულია, ამიტომ შეიძლება გადატანა მხოლოდ 9 მილიონის ყოველ თვიურათ და ისიც ძლიერ ვაჭივრებით. ცხადია, 36 მილიონი ფუთი პური კიდევ რომ იყოს, მისი გადატანა შეუძლებელი ხდება და ამ რიგათ 7 მილიონი დამშეულიც ვერ მიიღებს საგსებით დახმარებას.

ამას გარდა საქირა რამდენიმე ფუთი სათესლე ხორბალი, თუ გვინდა, რომ დაითესოს ყანები და გაისათ არ იქნეს კიდევ უარესი სურათი, ვინემ წელს არისო.

როგორც ვიცით შიმშილი მოვლა უკრაინის ერთ ნაწილსაც.

აი ასეთია რუსეთის მწარე სინამდვილე, ასეთი ამბები ხდება შიმშილის სამეფოში. ქართველი ბოლშევიკები კი გამომდგარან და ქართველი ხალხის მოსატყვილებლათ 10 თვის განმავლობაში საჯაროთ სწერენ და გაიძახიან: «რუსეთიდან მოდის საქართველოსთვის პურიო!»

სინიდისი რომ მისცათ, გააშმდებოდენ!



საქართველოს კმბენი.

თავისუფალი სვანეთის გარშემო. სვანეთში მომხდარ აჯანყების შესახებ საქართველოდან შემდეგ ვაგტაბიანებენ: გასული წლის აგვისტოში სვანეთის რევკომმა და მისმა აგენტებმა მეტათ გააძლიერეს რეპრესიები: დაიწეს ხალხის რბევა, სურსათის ჩამორთმევა, საქონლის რეკვიზიცია და სხვ. ხალხი არც წინეთ უცურებდა ბოლშევიკებს კარგათ, ვინაიდან სვანეთის რევკომი, სოფლის რევკომები, მილიცია და კომუნისტური პარტია ყაჩაღების, ქურდებისა და კაცის მკვლელებისგან შესდგებოდა. მათ თავგასულობას ხალხი მოთმინებიდან გამოჰყავდა. აგვისტოში სვანეთისა და ზუგდიდის, მაზრის რევკომებმა სთხოვეს საქართველოს რევკომს სვანეთის განიარაღება და ამ მიზნით იქ რუსის წითელი არმიის ნაწილების გაგზავნა. საქართველოს რევკომმა მათი თხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა ამავე დროს მე-11 არმიის სამხედრო შტაბი ამ ოპერაციას მიზანშეუწონლათ სთვლიდა. მიუხედავად ამისა სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაიგზავნა სვანეთში 600 კაც. შემდგარი რაზმი თავისი არტილერიით. ამ ამბავმა მთელი სვანეთი ფეხზე დააყენა, მათ იარაღს მოკიდეს ხელი. პირველათ სვანებმა ამოსწვიტეს ადგილობრივი რევკომები, მილიცია და ბოლშევიკები და შემდეგ შეებრძოლენ რუსის წითელ ჯარს. სვანებმა დაამარცხეს ეს უკანასკნელიც, მოკლეს რაზმის უფროსი პოლკოვნიკი და 120 არმიული ტყვეთ წაიყვანეს და მტერი გაანადგურეს. რუსის არმიას სამეგრელოდან გაუგზავნეს დასახმარებლათ ადგილობრივ კომუნისტებიდან შემდგარი რაზმი, მაგრამ სვანებმა ისინიც მალე დაამარცხეს და გაჟანტეს. ამის შემდეგ რევკომმა გადასწვიტა სვანეთის წინააღმდეგ ქართული წითელი არმიის ნაწილების გაგზავნა, გამოაცხადეს სამეგრელოსა და ლეჩხუმში კომუნისტების მობილიზაცია, გადაიყვანეს სვანეთისკენ სხვა მხარეებიდანაც ჯარები, მაგრამ ქართველმა ნაწილებმა რყევა დაიწყეს, შეშინდნენ, გაჩნდა დეზერტირობა და ამგვარათ მათი გაგზავნა აღარ მოხერხდა. რუსის ჯარი მაინც წავიდა არტილერიითა და საომარი მოწყობილობით, მაგრამ სვანეთს რომ მიუახლოვდნენ რუსის წითელმა არმიელებმაც განაცხადეს წინ წასვლაზე უარი. ბოლშევიკებს

მეტი გზა აღარ ქონდათ და უკან დაიხიეს. ამ ყამათ ბოლშევიკების ჯარები სვანეთის ირგვლივ არის დაბანაკებული; აკეთებენ პაეროპლანების დასაგრდნობს ზუგდიდში. თვით სვანეთი მოწვეტილია საქართველოს დანარჩენ ნაწილს და მთები დიდი თოვლით არის დაფარული. ბოლშევიკებმა სვანეთის ახლო-მახლო გააძლიერეს რეპრესიები, ქუთაისში დააპატიმრეს სვანი ეგნატე გაბლიანი, რომელიც საქარ. მთავრობის დროს სვანეთის კომისრათ იყო და მთელი სვანეთი ნდობით ეკვრობოდა. გაბლიანი დაპატიმრების დამესვე გაექცათ ბოლშევიკებს ციხედან.

თფილისი იღუპება. გადამდებმა სენმა მასიური ხასიათი მიიღო. «სიპნოი ტიფი» და შავი ევაილი უმოწალათ ქლეტს თფილისის დამშეულ მშრომელ ხალხს. 9 იანვარს ღამის 8 საათზე არც ერთ საავთმცოდოში აღარ იყო ადგილი, რომ ევაილიანები და ტიფიანები მიელოთ. საავთმცოდოები ადგილობრივი და უცხოელების სავსეა ავთმცოდებით. ჩვენი ცნობით სადენინფ. სადგურებში დაყრილ-დახოცილთა წამსვენებელიც არ ეშოვებათ საცოდათ. ქალაქი კი სიბინძურეშია. იმართება ექიმების სასწრაფო სხდომები, რომლებიც ამტიციებენ—თფილისის ღარიბ ნაწილს მოსპობა მოეღისო. საავთმცოდოებში არ არის სურსათი, წამალი, შეშა. ქალაქში შიმშილობაა. მუშათა ოჯახები მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე სანოვაგე ბევრია, შიმშილით იხოცებიან. ამავე დროს ბაზარში სპეკულიანტები ქეიფს ეწევიან და კომუნისტები კი დღესასწაულს იხდიან. 7-9 იანვარს ღამის 7 საათამდე მარტო სადენინფ. სადგურში 200-ზე მეტი ავთმცოდი მიიყვანეს, რომლიდანაც 52 იქვე გარდაიცვალა.

რევკომის განიარაღება. 6 დეკემბერს შეიარაღებული უცნობი პირები თავს დაესხნენ თფილისის სამხრო რევკომს სამართველოში, განიარაღეს იგი, მილიცია და დანარჩენი იქ მოფი შეიარაღებული ძალები და მშვიდობიანათ უგზო-უკვლოთ მიიმაღენ.

წერ. კით. გამ. საზოგადოების დახურვა. ბოლშევიკებმა კულტურულ დაწესებულებების წინააღმდეგაც განაჩლეს ბრძოლა. მათ დაუწყეს სისტემატიურათ ხელის შეშლა ქარ. შორის წერ. კითხ. გამ. საზოგადოებას, არ მისცეს წიგნების გამოცემის უფლება და ბოლოს წიგ-

F 1294/2
1922
საქართველოს
ბიბლიოთეკა

ნის მაღაზია და კანცელარიაც დაუბეჭდეს. ეს საზოგადოება დაარსებულია 1879 წლიდან და დიდ კულტურული მუშაობა აქვს გაწეული ქართველ ერში. მაგრამ დაწვრილებით ცოველივე ამაზე შემდეგ ნომერში.

12 დეკემბერი. თფილისში 12 დეკემბერს გვარდიის დღის აღსანიშნავათ მოსწავლე ახალგაზრდა წავიდა ძმათა სასაფლაოზე და იქ დასაფლავებულ მებრძოლთა საფლავები ცოცხალი გვაივლებით შეაშკო. წარმოითქვა სიტყვები და იგი დემონსტრაციათ გადაიქცა. ჩეკისტებმა დაგვიანებით გაიგეს და ამიტომ დემონსტრანტებმა შესძლეს რამდენიმე თავის მიზნის მიღწევა. დაწვრილებით შექმნეს ნომერში.

ქ დავით ნიჟარაძე. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში ქუთაისში გარდაიცვალა ქუთაისის გუბერნიის თავდასწანურთა ყოფილი მარშალი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ განსვენებული ცოველივე საზოგადო საქმეს ჩაეშორა და ძლიერ ხელშეკლეთ ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა ადგილობრივმა რევკომმა არ მისცა ჭირისუფლებს საფინანსო ეკლესიის ეზოში მისი დასაფლავების ნებართვა იმ მოტივით, რომ იგი რეაქციონერი იყო. ამის შემდეგ დეკემბრით თხოვეს საქართველოს რევკომს და მან გაბედა და მისცა ნებართვა დაესაფლავებიათ გარდაცვალებული «რეაქციონერი» ეკლესიის ეზოში. გასვენებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

საქართველოს კომპარტიისში. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში თფილისში გაიხსნა საქარ. კომპარტიის წარმომადგენელთა ყრილობა. ბოლშევიკები დიდი ხნით ემზადებოდნენ ამ ყრილობისთვის და ბოლოს როგორც იცო მთიწვიეს. ყრილობისთვის მოსკოვიდან დაბრუნდა ფ. მახარაძე, რომელიც როგორც წინეთ ვწერდით, შინაური უთანხმოების გამო მოსკოვში გადასახლეს. ყრილობაზე გაიმარჯვეს მახარაძის მომხრეებმა, ყრილობის თავმჯდომარეთ აირჩიეს მახარაძე და პრეზიდიუმში არ გაიყვანეს მისი ჯგუფის არც ერთი მოწინააღმდეგე.

სიძვირე. უკანასკნელთ საქართველოში სიძვირემ უმაღლეს წერტილს მიაღწია: თფილისში გირვანქა პური 20 ათასი მანეთი ღირს, ბათუმში—25 ათასი, ქუთაისში ფუთი მჭადის ფქვილი—300 ათასი მან. ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. განსაკუთრებით აუტანელია ინტელიგენციისა და საერთო მოსამსახურეთა მდგომარეობა, თუ რამე ქონდათ უკვე გაციდეს, ხოლო ჯამაგირი იმდენი აქვთ დანიშნული, რომ ორ ფუთ ფქვილსაც არ უყიდისთ და ვერც იმას იღებენ თავის დროზე.

ცეცხლი. საქართველოს დაპყრობის შემდეგ იქ ძლიერ ხშირი მოვლენა შეიქნა ცეცხლი. გასული წლის დეკემბერში ქუთაისში სავსებით დაიწვა სამხედრო საავადმყოფო და აგრეთვე საოლქო სასამართლოს შენობის ერთი ნაწილი. დაიწვა სწორეთ ის ნაწილი, სადაც რევტრიბუნალი ქონდათ ბოლშევიკებს მოთავსებული.

მატარებელზე თავდასხმა. გასულ თვეში ბათუმსა და ქობულეთ შორის თავს დაესხნენ საჩაღები ბათუმიდან მიმავალ სამგზავრო მატარებელს, გააჩერეს იგი, გამოიტანეს თუ რამე იყო ვაგონებში, როგორც კერძო პირის ისე სახაზინო, დატვირთეს ცხენები და გაუდგენ გზას. უკანასკნელთ ძარცვა-გლეჯა გახშირდა თვით ბათუმშიაც.

სამკლოვიარო წერილი.

პარიზი. მტრისგან დაპყრობილ სამშობლოს მაცვეტილნი, საფრანგეთში მყოფნი ქართველი იუნკერები, გულწრფელად ვუერთდებით იმ მუხარებას, რომელსაც იწვევს ყველა ნამდვილ ქართველის გულში, სპეტაკი მებრძოლის და თავგანწირული მამულიშვილის ბნ. პარმენ ჭიჭინაძის გარდაცვალება.

დავსტირით პატივცემულ მინისტრის საფლავს. მისი სიმშობლოსათვის თავგანწირვამუდამ სახსოვარი და სამაგალითო იქნება ჩვენთვის.

კუკური თოხაძე, ალ. კინწურაშვილი, ივ. ვაჩნაძე, ბ. ოდიშელიძე, ა. ჯინჭარაძე.